ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 27 სექტემბერი 2006 №223 (2845) ფასი 50 თეთრი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ამბების ნაკრები

ტოპიმ გრიგალაშვილს დაუძახა, ახალკაცი მუჯირს მკურნალობს

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა უახლოესი მატჩებისთვის გამოძახებულ შემადგენლობას გუშინ ერთი ფეხბურთელი დაამატა — თბილისის „დინამოს“ 20 წლის ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი.

მოგეხსენებათ, წინა უქმეებზე რუსული პრემიერლიგის მატჩებისას დავით მუჯირი და მალხაზ ასათიანი ისე დაშავდნენ, მათი ნაკრებში თამაში თითქმის გამოირიცხა, მწვრთნელმაც აღარ დააყოვნა და შოთა გრიგალაშვილს უხმო. თუმცა გუშინ ერთი სასიამოვნო ამბავიც გავიგეთ — მუჯირი კლუბმა უკვე გაათავისუფლა, ის უკვე თბილისშია, ნაკრების ექიმ ვალერი ახალკაცის მეთვალყურეობით მკურნალობს და ამბობენ, გერმანია-იტალიამდე მისი გამოჯანმრთელების შანსი მნიშვნელოვნად გაიზარდაო.

ბადრი კეთილაძის ფოტო

ქართული ინტერესი ჩემპიონთა ლიგაში: კალაძემ ითამაშა

„ლილი“ — „მილანი“ 0:0. კაკამ, კახამ და მილანელებმა მასპინძელ მეკარე ტონი სილვას ვერაფერი დააკლეს

დაგვეპნა იმედის ბრინჯი

დღეს მძიმე და თავისუფალი დღეა

უკეთეს ამბებს ველოდით გუშინ ჩინური გუანჯოუდან, სადაც მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელდება. უკეთესს, ვიდრე გუშინწინდელი ვერცხლი იყო, მაგრამ ისევე, როგორც წლევანდელ ევროპირველობაზე, დავიდ ბედინაძის ვერცხლს მხოლოდ მანუჩარ კვირკველიას ბრინჯაო დაემატა.

არადა, დასაწყისი დიდებული იყო — საქართველოს ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ნაკრების ყველაზე ტიტულოვანმა წევრებმა — კვირკველიამ, ბადრი ხასაიამ და რამაზ ნოზაძემ ერთად უწიეს ნახევარფინალს და დიდი გამარჯვება თითქოს ახლოს იყო, მაგრამ ფინალის გზაზე ბოლო ნაბიჯის გადადგმა ვერც ერთმა შეძლო და მესამე ადგილისთვის ბრძოლაშიც მხოლოდ კვირკველიამ ივარგა.

კლასიკოსთა ჩემპიონატს დღეს მძიმეწონისნები დაასრულებენ და საქართველოს ღირსებას ასეთი რანგის შეჯიბრის დებიუტანტი რევაზ ჭელიძე დაიცავს. პარალელურად კი შეჯიბრს თავისუფალი სტილით მოჭიდავენიც იწყებენ — ჩინურ ხალიჩაზე პირველნი ბესიკ გოჩაშვილი (55კგ) და დავით პოღოსიანი (60) გავლენ.



დავით ბედინაძის გუშინწინდელ ვერცხლს მანუჩარ კვირკველიას გუშინდელი ბრინჯაოღა შეემატა

მუჯირს ნაკრებში მკურნალობენ

ასათიანს ბზარი აღმოუჩინეს

რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში დაშავებული დავით მუჯირის ეროვნულ ნაკრებში 7 და 11 ოქტომბერს გერმანიასთან და იტალიასთან თამაშის შანსი რომ ძალიან მცირეა, უკვე გაუწყეთ. გუშინ კი გაჩნდა იმედი, რომ მუჯირი ამ მატჩებისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

საამისოდ მუჯირი თბილისში ჩამოვიდა და ეროვნულ ნაკრებთა მთავარი ექიმის, ვალერი ახალკაცის დანიშნულებით მკურნალობას შეუდგა — მუჯირს მარჯვენა მუხლის მყესები აქვს დაზიანებული. ვალერი ახალკაცმა გვითხრა, რომ ამ ეტაპზე უცნობია, ზუსტად როდისთვის გამოიღებს მკურნალობა შედეგს, მაგრამ არის იმედი, რომ მუჯირი ნაკრების საოქტომბრო მატჩებისთვის მწყობრში ჩადგება.

როგორც უნდა იყოს, „მუმუ“ აუცილებლად წავა ნაკრების გერმანულ შეკრებაზე, რომელიც 3 ოქტომბერს დაიწყება.

რაც შეეხება მალხაზ ასათიანს, მისი გერმანიასთან და იტალიასთან თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია. გუშინ მოსკოველმა ექიმებმა ასათიანს ერთხელაც ჩაუტარეს გამოკვლევა და ვარაუდობენ, რომ მას ძვალი აქვს გაბზარული.

დავით თავართქილაძე

მაგ მკერდში ორი გულია?

გუშინდელ „კიკერში“ საქართველოს ნაკრების მწვრთნელ რალფ მინგეს შესახებ წერილი დაიბეჭდა...

რალფ მინგე დრეზდენის „დინამოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს ბოლო სხდომაზე მის კანდიდატურას კენჭი უყარეს და საქართველოს ნაკრების მწვრთნელის სურვილი, პარალელურად ყოფილ კლუბშიც იყოს, დაკმაყოფილდა.

რალფ მინგეს სურს, ამ საპატიო თანამდებობაზე ყოფნით მომავალ თაობაზე იზრუნოს.

სამეთვალყურეო საბჭოს პრეზიდენტი თომას მულანსკი კმაყოფილია: „გვიხარია, რომ რალფ მინგემ სამეთვალყურეო საბჭოში მუშაობა გადაწყვიტა. ჩვენ მას არა მხოლოდ „დინამოში“ მისი წარსულით, არამედ დღევანდელი წარმატებული საქმიანობითაც ვაფასებთ“.

„დინამოს“ ლეგენდამ ამ კლუბში 220 მატჩი ჩაატარა და 103 გოლი გაიტანა. 90-იან წლებში ორჯერ იყო დრეზდენელთა მწვრთნელი. მოგვიანებით კი ლევერკუზენის „ბაიერის“ მწვრთნელთა საბჭოში საქმიანობდა. ამჟამად იგი კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწეა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, რომელიც, სხვათა შორის, 7 ოქტომბერს როსტოკში ბუნდესნაკრებს ხვდება.

მინგე გახარებულია ახალი საპასუხისმგებლო საქმით, მაგრამ ამავე დროს მუშაობას არ შეწყვეტს საქართველოს ნაკრებში. როგორც თავად გვითხრა, ახალი სამსახური ჩემთვის ძალიან საპატიო და მნიშვნელოვანი ამბავია, თუმცა უმნიშვნელოვანესი იყო ამ საქმიანობის შეთავსება საქართველოში მუშაობასთან. დღესდღეობით ეს შესაძლებელია, რაც ძალიან მახარებს.

იოახიმ ლიოვის ენკი-ბენკი

საქართველოს ჰილდებრანდი შეხვდა



„7 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ გუნდთან მატჩში გერმანიის ნაკრების კარს შტუტგარტელი ტიმო ჰილდებრანდი დაიცავს“ — განაცხადა გუშინ ბუნდესნაკრების თავკაცმა იოახიმ ლიოვმა.

მისივე თქმით, ძალიან უნდოდა, ქართველებთან მატჩში გამოეცადა „ჰანოვერის“ მეკარე რობერტ ენკეც, თუმცა უბედური შემთხვევის გამო გეგმები შეიცვალა — ენკეს ახლახან ქალიშვილი დაეღუპა.

„სამწუხაროა, ასეთი ამბავი რომ მოხდა, მაგრამ რობერტს ჩემი თანაშემწე ანდრეას კეპკე მაინც დაელაპარაკება“ — განაცხადა ლიოვმა. დალაპარაკებაში კი ის იგულისხმება, რომ თუ ენკემ ნაკრებში თამაშზე მზადყოფნა გამოთქვა, შეკრებაზე მიიწვევენ.

„ჩვენი გუნდის მთავარი მეკარე იენს ლემანია, მეორე ნომრად ჰილდებრანდს მივიჩნევ, მესამე კი ჯერაც არ აგვირჩევია. ბუნდესლიგაში ბევრი კარგი მეკარეა და მათგან საუკეთესო უნდა შევარჩიოთ. ჰილდებრანდს კი კარგი შანსი აქვს, თავისი შესაძლებლობები 7 ოქტომბერს, საქართველოსთან ამხანაგურ მატჩში დაამტკიცოს“ — ესეც ლიოვის სიტყვებია.

ჰერ იოახიმმა მეკარეთა ამბავი კი გადაწყვიტა, მაგრამ შემადგენლობა ჯერ არ გამოუცხადებია — ამას პარასკევს გააკეთებს.

მოკლედ, გერმანელებმა მეკარეების საქმე მოაგვარეს, ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ: ვინ ჩადგება 7 ოქტომბერს საქართველოს ნაკრების კარში?

ძახა შალამბერიძე

შომანის შოუ თბილისამდე

გერმანიის 17-წლამდელთა ნაკრებმა URSAPH-ARM-ტურნირის ბოლო, მესამე ტურში იტალიას 4:1 მოუგო და მეორე ადგილზე გავიდა. ჩემპიონი კი ჰოლანდია გახდა, რომელმაც 4:0 დაამარცხა ყატარი.

გერმანელებმა იტალიას თავიდანვე მოუსპეს შანსი. საშა ბიგალკემ მარვინ კნოლის პასით მე-9 წუთზევე დააწინაურა თავისიანები. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე კი თავად კნოლმა გაზარდა ანგარიშში სხვაობა.

მეორე ტაიმის დასაწყისში იმავ კნოლის გადაცემით კაპიტანმა პატრიკ ფუნკმა თავურით იხეირა, მეოთხე გოლი კი ერიკ ტაპისიერმა გაიტანა.

იტალიელთაგან ანდრეა რაიმონდმა შეძლო პენალტის გამოყენება (79-ე წუთზე). ეს იყო და ეს.

გერმანელთა მწვრთნელი პაულ შომანი, ცხადია, კმაყოფილი იყო: „ჩემმა გუნდმა დამაჯერებელი და აგრესიული თამაშით მოიგო. ძალიან ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და ამიტომაც დამსახურებულად მოვიგეთ. ოთხი გოლი იტალიის წინააღმდეგ ნამდვილად არაა ცუდი შედეგი.“

მომდევნო მატჩები პატარა გერმანელებს უკვე თბილისში, საოქტომბრო ევროშესარჩევ ტურნირში ელით.

ნინო სილაგაძე

ფრაი მეშვიდე ქართველზე მიდის

ფინკეს თარგამაძეც სურს

ფოლკერ ფინკე

დიდი შანსია, ალექსანდრე იაშვილსა და ოთარ ხიზანეიშვილს „ფრაიბურგში“ კიდევ ერთი ქართველი შეემატოთ — დავით თარგამაძე.

17 წლის თარგამაძე 35-ე სკოლის აღზრდილია და ის ფრაიბურგში „საქართველოში ფეხბურთის განვითარების ფონდის“ დახმარებით ჩავიდა. ამ ფონდის დამფუძნებლები რევაზ, შოთა და არჩილ არველაძეები არიან. არჩილ არველაძე 35-ე სკოლის დირექტორიცაა და სწორედ ის ახლავს თარგამაძეს ფრაიბურგში.

არჩილ არველაძისგან შევიტყვეთ, რომ „ფრაიბურგის“ თავკაც ფოლკერ ფინკეს თარგამაძე მოეწონა და მისი „ფრაიბურგში“ დატოვება სურს, თუმც ყველაფერი მხოლოდ მწვრთნელისა და ფეხბურთელის სურვილზე არაა დამოკიდებული — 17 წლის თარგამაძე არასრულწლოვანია, გერმანული კანონმდებლობით კი, არასრულწლოვანთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმება არ შეიძლება, თუმც ისიცაა, რომ კანონებში რაღაც ნაპრალების მოძებნა ხშირადაა შესაძლებელი.

თარგამაძემ „ფრაიბურგის“ პირველ გუნდთან უკვე ხუთჯერ ივარჯიშა. ის ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველია.

თუ მისი ფრაიბურგული ტრანსფერი მოხერხდება, ის ლევან კობიაშვილის, იაშვილის, ხიზანეიშვილის, გიორგი კიკნაძის, ზაზა ზამთარაძის და ლევან ცქიტიშვილის შემდეგ მეშვიდე ქართველი იქნება „ფრაიბურგში“.

დავით თავართქილაძე

თვალ-თვალი

გადრი კეთილაძის ფოტო

სანამ კახა ცხადაძის საქმეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი განიხილავს, მანამდე მწვრთნელობის უფლებაჩამორთმეული ცხადაძე ასეთნაირად ცდილობს „სიონის“ ფეხბურთელებისთვის რჩევების მიცემას.

შეგახსენებთ, რომ ცხადაძეს სადისციპლინო კომიტეტმა სეზონის ბოლომდე შეუჩერა სამწვთრნელო ლიცენზია, ეს ფოტო კი რამდენიმე დღის წინ, ჩემპიონატის მეშვიდე ტურის „სიონი“ — „ამერის“ მატჩის დროსაა გადაღებული.

დავით უიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

გლდანში 13 მაისს აჩრდილია

გაფრი კეთილდღის ფოტო

საქართველოს თასის ფინალი საქართველოს თასის ჯგუფში: „ამერი“ „ზესტაფონს“ უმასპინძლებს

ილია ნანობაშვილი

ლეს, ოთხ საათზე, გლდანში წასვლას თუ არ დაიზარებთ, არ წააგებთ. თასის მფლობელი „ამერი“ ფინალისტ „ზესტაფონს“ მასპინძლობს და რატომღაც რომ ცუდი თამაში გამოვიდეს... მართალია, ეს მატჩი მნიშვნელობით 13 მაისისას ვერ შეედრება, მაგრამ ფეროელები ყველანაირად ეცდებიან, ოდნავ მაინც მოიფხანონ გული მაშინდელი მარცხისთვის.

ეგაა, ორივე გუნდი შესუსტებული შემადგენლობით იქნება. „ყვითლების“ რატი წინამძღვრიშვილი, გიორგი ელბაქიძე, დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია და ბესიკ ჩიმაკაძე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში ემზადებიან ევროშესარჩევი ტურნირისთვის, დიმიტრი ტატანაშვილს კი ტრავმა აწუხებს.

ასევე 19-წლამდელთა თავკაც ჰაინც ტოპმიოლერის განკარგულებაში არიან ზესტაფონელებიც: გიორგი განუგრავა, გიორგი ხიდეშელი, მირზა ბჟალავა, ნიკა კვასხვაძე და ბექა გოცირიძე.

მოკლედ, დანაკლისი ხუთი ხუთზეა და რომელი გუნდისთვის რომელი უფრო საგრძნობია, თავად განსაჯეთ.

ისე მოხდა, რომ თასის ფინალისტები წლევანდელ სათასო ჯგუფში ერთად მოხვდნენ, მაგრამ ვეჭვობთ, დღევანდელმა მატჩმა სატურნირო მდგომარეობაზე დიდად იმოქმედოს — ორივენი რომ უპრობლემოდ გავლენ ჯგუფიდან, ეჭვიც არ გვეპარება.

ზესტაფონი	1	1	0	0	5:0	3
ამერი	1	1	0	0	3:0	3
სპარტაკი	1	0	0	1	0:3	0
ჯახეთი	1	0	0	1	0:5	0

B ჯგუფის მთავარმატჩი მცხეთაშია, სადაც რუსთავის „ოლიმპისგან“ შერცხვენილი „ვიტ ჯორჯია“ ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლებს.

ვიტელებმა პირველ ტურში ახალციხის „მესხეთს“ ვერ მოუგეს (0:0) და ფრთხილად უნდა იყვნენ, ემანდ, სირცხვილი არ ჭამონ და ჯგუფიდან გასვლა სანატრელი არ გაიხადონ.

მეორეს მხრივ, ძალიან ვაჭარბებთ — „ვიტ ჯორჯია“ ასე არ დაჩაჩანაკდება.

მეორე შეხვედრაში „მესხეთი“ ვლადიმერ ხაჩიძის მშიერი კამერუნელებით „გაძლიერებულ“ „ბორჯომს“ ხვდება და კურორტელთა მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, პირველლიგელს მოგების მსუყე შანსი უნდა ჰქონდეს.

ტორპედო	1	1	0	0	4:1	3
მესხეთი	1	0	1	0	0:0	1
ვიტ ჯორჯია	1	0	1	0	0:0	1
ბორჯომი	1	0	0	1	1:4	0

აი, C ჯგუფში კი ძალიან საინტერესო თამაში გველის — ჩეხი დუშან უჭრინის „დინამო“ ჩემპიონატში ჯერაც დაუმარცხებელ და გოლგაუშვებელ „ოლიმპს“ ხვდება. „ამერისა“ და „ზესტაფონისა“ არ იყოს, არც ამ ორ გუნდს უნდა გაუჭირდეს მეოთხედფინალში გასვლა, მაგრამ ინტრიგა მაინც საკმაოა: აქეთ „დინამო“, იქით კი სეზონის მთავარი აღმოჩენა. თანაც „ოლიმპი“ წინა სათასო ტურში რუსთავში ვერ მოერია საჩხერის „ჩიხურას“, რომელსაც ჯგუფიდან გაღწევის მკრთალი იმედი აქვს — დღეს პირველლიგელ „ნორჩ დინამოელს“ ეთამაშება თბილისში და თუ მოიგო, კი გაუხდება ოთხი ქულა...

დინამო	1	1	0	0	4:1	3
ჩიხურა	1	0	1	0	0:0	1
ოლიმპი	1	0	1	0	0:0	1
ნ. დინამოელი	1	0	0	1	1:4	0

სხვებთან შედარებით თანაბარძალოვანია D ჯგუფი: თბილისის „მერანი“ ის გუნდია, ჩემპიონატის სამ გასვლით მატჩში 7 ქულა რომ აიღო და ვნახოთ, ბოლნისში როგორ გაამართლებს „ავი სტუმრის“ სახელს. მერანელებმა პირველ ტურში „ბათუმთან“ 0:4 დათმეს შინ, თავის მხრივ კი ზღვისპირელებსაც არ ელით დღეს იოლი გასეირნება — პირველი ლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდს, აგარის „მეშაქრეს“ სტუმრობენ.

ბათუმი	1	1	0	0	4:0	3
სიონი	1	1	0	0	2:0	3
მეშაქრე	1	0	0	1	0:2	0
მერანი	1	0	0	1	0:4	0

A ჯგუფი

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. ამერი

ამერი თბილისი — ზესტაფონი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე; ა. გუნთაძე

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. სინათლე

სპარტაკი თბილისი — ჯახეთი თელავი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ზ. ასკაროღლი, ზ. ხუციშვილი; ზვ. ასკაროღლი

B ჯგუფი

მცხეთა. 27 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია თბილისი — ტორპედო ქუთაისი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ი. უკლება; მ. მაისურაძე

ახალციხე. 27 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

მესხეთი ახალციხე — ბორჯომი

მსაჯები: ო. ხეცაძე; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე; ხ. გაგნიძე

C ჯგუფი

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. ნორჩი დინამოელი

ნორჩი დინამოელი თბილისი — ჩიხურა საჩხერე

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ურუშაძე, კ. გუდურაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი

დინამო თბილისი — ოლიმპი რუსთავი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ჯვარიძე, ა. კოკაია; ა. კრიჭაშვილი

D ჯგუფი

აგარა. 27 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

მეშაძრე აგარა — ბათუმი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე; გ. კიკაჩეიშვილი

ბოლნისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

სიონი ბოლნისი — მერანი თბილისი

მსაჯები: დ. სანაია; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; თ. ხუჭუა

უჭრინმა ძველებს გახედა

თბილისის „დინამოში“ დუშან უჭრინის მისვლის შემდეგ, შესაძლოა, ძირითად შემადგენლობას რამდენიმე „ძველი“ ფეხბურთელი დაუბრუნდეს. ზვიად სტურუა, ლაშა ნოზაძე, დავით ოდიკაძე და შოთა ბაბუნაშვილი უკვე პირველ გუნდთან ვარჯიშობენ და გამორიცხული არ არის, მალე ძირითადშიც ვიხილოთ.

ოდიკაძის ამბავი, ვფიქრობთ, კარგად იცით და მასზე აქ აღარაფერს ვიტყვით. ბაბუნაშვილის საქმე კი ეგებ არც გახსოვდეთ. ის „დინამომ“ „ტორპედოდან“ შეიძინა, მაგრამ შოთამ ახალ გუნდში ხეირიანად თამაში ვერ მოასწრო, წინა სეზონის დასაწყისშივე დაშავდა და ვარჯიში სულ ცოტა ხნის წინ განაახლა.

სხვა ვითარებაა სტურუა-ნოზაძესთან დაკავშირებით — „დინამომ“ ორივე ტრანსფერზე დააყენა.

ნოზაძე ისრაელშიც იყო წასული, მაგრამ უკანვე დაბრუნდა. სტურუა კი „დინამო 2“-ში ვარჯიშით ცდილობდა ფორმის შენარჩუნებას.

ახლა ეს ოთხეული მთავარ გუნდშია და ახალი მწვრთნელისთვის თავის მოწონებას ცდილობს.

ვნახოთ, რას იტყვის ჩეხი...

კოტა ინასარიძე

თქვენი ინტერვიუ

მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ზიგზაგური გზა სწორია
არანაირი შიში, ეს ფეხბურთია!

24 წლის ილია კანდელაკი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ასე ვთქვათ, ნელ-ნელა ეგუება, კლაუს ტოპმიოლერი მას თითქმის ყოველთვის იძახებს გუნდში და ხშირად ათამაშებს კიდეც. კანდელაკმა ტოპმიოლერის ასეთი ნდობა პირველ რიგში ალბათ უკრაინის ჩემპიონატში კარგი თამაშით დაიმსახურა — ოდესის „ჩერნომორეცის" ძირითადში მყარად მოიკიდა ფეხი და ბოლო ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს. ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებამ კი კანდელაკი ხუთი წლის წინ გაიცნო...

2001 წლის ზამთარში, სანამ ფაქტობრივად უპატრონოდ დარჩენილ თბილისის „დინამოს" შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაიგდებდა ხელში, გუნდიდან ერთბაშად 14 ფეხბურთელი წავიდა და „დინამოში" რამდენიმე ისეთი მოთამაშე გამოჩნდა, მანამდე რომ არავინ იცნობდა. გოჩა ტყებუჩავას გაწვრთნილი „დინამო" სამი მცველით თამაშობდა — მარჯვნივ რამაზ სვანაძე, ცენტრში გიორგი შაშიაშვილი და მარცხნივ ილია კანდელაკი.

კანდელაკს თანაგუნდელებმა მყისვე გამოუძებნეს თიკუნი — „ზიგზაგა" ან „ზიგო". მაშინ კანდელაკი 19 წლის იყო...

ილია კანდელაკი (№35) უკრაინასთან მატჩს სინანულით იხსენებს

მომდევნო სეზონებში ილია ყოველთვის ვერ ხვდებოდა „დინამოს" სასტარტოში. ხორვატი ივო შუშაკი მას მარცხენა საყრდენად ათამაშებდა. „ზიგო" დინამოელთა საკვანძო ფეხბურთელი ხელმეორედ მაშინ გახდა, როცა გუნდი გია გეგუჩაძემ ჩაიბარა და „დინამომ" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზეც კი გააღწია.

კანდელაკი „ჩერნომორეცში" შარშან მივიდა, მაგრამ ისე, რომ ოდესელები მას არ იცნობდნენ, მისი თამაში ნანახიც არ ჰქონდათ...

„ოდესის „ჩერნომორეცში" აგენტმა მიმიყვანა. ოდესურ გუნდში, ფაქტობრივად, ბრმად ჩავედი, „ჩერნომორეცისგან" მიწვევა არ მქონია, მაგრამ გასინჯვაზე ნორმალურად წარმოვაჩინე თავი და გუნდში ამიყვანეს" — იხსენებს კანდელაკი.

2005-06 წლების სეზონი „ჩერნომორეცისთვის" ძალიან წარმატებული გამოდგა — ოდესელები უკრაინის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდნენ, მხოლოდ კიევის „დინამოს" და დონეცკის „შახტარს" ჩამორჩნენ. მიმდინარე სეზონში კი „ჩერნომორეცი" ჯერ მხოლოდ მე-10 ადგილზეა.

„სეზონი შარშანაც მძიმედ დავიწყეთ, მაგრამ მერე ავთამაშდით და ახლაც ამის იმედი გვაქვს. თამაშის ხარისხი ახლაც კარგი აქვს „ჩერნომორეცს", მაგრამ მოგება რატომღაც ძალიან გვიჭირს" — გაგვიმარტა კანდელაკმა, რომლის გარდა „ჩერნომორეცში" კიდევ ორი ქართველია, მაგრამ გიორგი შაშიაშვილს და კახა მჟავანაძეს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გარანტირებული არ აქვთ.

და რა შესძინა კანდელაკს უკრაინაში თამაშმა? პასუხი მოკლე და კონკრეტულია: გამოცდილება.

კანდელაკს ეროვნულ გუნდში რვა კეპი მოუხვეჭია, ნაკრების ბოლო ორ თამაშში ტოპმიოლერმა ის ორჯერვე პირველ ტაიმში შეუშვა შეცვლაზე. უკრაინასთან მატჩში, როცა ჩვენი ნაკრები 2:3-ს აგებდა, კანდელაკს არცთუ ურიგო შანსი ჰქონდა ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ...

„უკრაინასთან უფრო კარგად შემეძლო თამაში, საკუთარი თავით კმაყოფილი არ დავრჩენილვარ, შოთა არველაძის პასის შემდეგ გოლი ვერ გავიტანე" — გვითხრა კანდელაკმა, რომელმაც იმ ეპიზოდში ცაციათი დაარტყა და დარტყმა ისეთი გამოდგა, რომ ალექსანდრ შოკოვსკიმ იოლად გააქვავა ბურთი ხელებში. კანდელაკი ცაციაა, მარჯვენა ფეხს ისე ვერ იქნევს, როგორც მარცხენას და იმ მომენტში ვინძლო მარჯვენით უკეთესი იქნებოდა დარტყმა.

„ორივე ფეხით კარგად თამაში — ამ კომპონენტზე მუშაობა ბავშვობიდანაა საჭირო, თუმცა სუსტი ფეხით დარტყმის გაუმჯობესება გვიანი არასდროსაა" — ამბობს კანდელაკი და ვნახოთ, იქნებ, მისი მარჯვენა ფეხით შესრულებული დარტყმებიც მალე ვიხილოთ.

კანდელაკი მაშინაც სიტყვაძვირი გამოდგა, როცა კლაუს ტოპმიოლერზე ეკითხეთ: „მას ასი პროცენტით ესმის ფეხბურთი და ძალიან კარგი ადამიანია".

ილიას ალბათ გერმანიასთან და იტალიასთანაც მოუწევს თამაში 7 და 11 ოქტომბერს. ის ასეთნაირად უდგება გრანდებთან თამაშის თემას:

„საფრანგეთი, გერმანია, იტალია — ასეთი გუნდები ძალიან მაღალ დონეზე არიან მომზადებულები. ფრანგებმაც მომზადების და კლასის წყალობით მოგვიგეს, ნურავის ჰგონია, რომ ფრანგებთან შიშით ვითამაშეთ და ამიტომ წავაგეთ. გერმანიასთან და იტალიასთან ერთხელაც მოგვეცემა იმის შანსი, რომ ყველას ვაჩვენოთ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს ფეხბურთია და ჩვენც შეგვიძლია მოგება".

კანდელაკს ვერასდროს ნახავთ მისავათებულს, ინერტულს და ხელჩაქნეულს, ის ზედმიწევნით შეუპოვარია და როცა ვკითხეთ, თუ რა არის ფეხბურთელ ილია კანდელაკის საუკეთესო თვისება, მაშინაც მოკლედ მოგვიჭრა: „აქტიურობა, ინიციატივის გამოჩენა".

დავით თავართქილაძე

ეს ბრანკო რა ყოფილა
კამერუნელი ცამეს რუსულმა ასომ დაღუპა

ორიოდ კვირის წინ იყო, სამარის „კრილიაში" ერთი ამბავი რომ ატყდა: კამერუნელი ლეგიონერი სერჟ ბრანკო იძახდა, ომარ თეთრაძე (სამარელთა თავკაცი გაჯი გაჯიევის თანაშემწე) პისტოლეტით გამომეკიდაო.

ბუნებრივია, ომარმა ბრანკოს ნათქვამს ბოდვა უწოდა, უზრდელი და ხეპრეა, ასეთი შეუგნებელი ფეხბურთელი ცხოვრებაში არ შემხვედრიაო. ბრანკო ამ ინციდენტიდან მეოთხე დღეს გაუშვეს „კრილიადან" და ახლა მოთამაშეები მისი გუნდში დაბრუნების წინააღმდეგნი არიან.

აი, რას ამბობს თეთრაძე: „იცით, ის გუნდში რომ მოვიდა, გაჯიევს პირველივე დღეს რა უთხრა? ყველა ფეხბურთელი უნდა შეკრიბო და ჩემზე უნდა უთხრა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ვარო. ღმერთო ჩემო, ბრანკო რომ ამას იტყვის, ანდრეი კანჩელსკისმა რაღა უნდა თქვას?!

...რომელ ბოდიშზეა ლაპარაკი. კლუბის პრეზიდენტს უსაუბრია ბრანკოსთან და ის არანაირი ბოდიშის მოხდას არ აპირებს. ესე იგი, დღესაც ფიქრობს, რომ შეუძლია, მწვრთნელს სამასოიანი სიტყვა უთხრას და არასწორი ორიენტაციის კაცი უწოდოს. ამის შემდეგ რაღაზე უნდა ილაპარაკო?!"

ილია ნანოგაშვილი

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ლიუბინსკასმა მთელ ლიტვას დაუძახა

ჩვენი მეტოქე ლიტვა 7 ოქტომბერს ფარერებს ეთამაშება, ოთხ დღეში კი ქუვეითს ამხანაგურად გაეჯიბრება.

საამმატჩებოდ ბალტიისპირელთა თავკაცმა ალვიმანტას ლიუბინსკასმა უჩვეულოდ ბევრი, 33 ფეხბურთელი მიიწვია შეკრებაზე...

მეკარეები: *ჟიდრუნას კარჩემარსკასი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), მინდაუგას მალინაუსკასი (კაუნასი), შაულიუს კლევინსკასი (სუდუვა), ერნესტას სეტკუსი (ჟალგირისი);*

მცველები: *მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), როლანდას ჯიაუკშტასი (სატურნი, რუსეთი), ანდრიუს სკერლა (ტომი, რუსეთი), გედიმინას პაულაუსკასი (ეკრანასი), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმსტადი, შვედეთი), ირმანტას ზელმიკასი (ტავრია, უკრაინა), ვიდას ალუნდერისი (ზაგლებიე, პოლონეთი), მარიუს ზალიუკასი (ჰართსი, შოტლანდია), არუნას კლიმავიჩიუსი (ეკრანასი), დარიუს ჟუტაუტასი (ატლანტასი), ნერიუს სასნაუსკასი (ვეტრა);*

ნახევარმცველები: *დეივიდას ჩესნაუსკისი (ჰართსი, შოტლანდია), დარიუს მიცეიკა (მეტალურგსი, ლატვია), აიდას პრეიკშაიტისი (ვეტრა), შაულიუს მიკოლიუნასი (ჰართსი, შოტლანდია), ვიტალიუს კავალიუსკასი (ეკრანასი), მანტას საენასი (ეკრანასი), ტომას ტამოშაუსკასი (მეტალურგსი, ლატვია), მინდაუგას კალონასი (მეტალურგსი, ლატვია), აივარას ლაურიშასი (ვილნიუსი), კესტუტის ივაშკევიჩიუსი (ჰართსი, შოტლანდია), ლინას პილიბაიტისი (კაუნასი), ანდრიუს გედგაუდასი (ატლანტასი);*

თავდამსხმელები: *რობერტას პოშკუსი (ზენიტი, რუსეთი), ტომას დანილევიჩიუსი (ლივორნო, იტალია), რიჩარდას ბენიუშისი (კაუნასი), ედგარას იანკაუსკასი (ჰართსი, შოტლანდია), პოვილას ლუკშისი (ეკრანასი), ტომას რაძინევიჩიუსი (კლადნო, ჩეხეთი).*

ფარერების ექსკურსია

ლიტვასთან საშინაო მატჩის მერე, 11 ოქტომბერს ფარერები საფრანგეთს სტუმრობს. კუნძულელთა თავკაც მარტინ ოლსენის რჩეულთა სია კი ასეთია...

მეკარეები: *იაკუპ მიკელსენი (B36), მაინჰარდტ იონსენი (კლასვიკი);*

მცველები: *ოლი იოჰანსენი (TB), ვაგნურ მორტენსენი (HB), ატლი დანიელსენი (კლასვიკი), იანუს იონსენი (HB), ჰერბერტ ლონ იაკობსენი (B36), რასმუს ნოლსე (HB), მარნი ჯურჰუსი (სტრეიმური);*

ნახევარმცველები: *მიკიალ ტომასენი (B36), ჰანუს ტორლეიფსონი (B36), ფროდი ბენიამინსენი (B36), იაკუპ ბორგი (HB), კარი ნილსენი (HB), როგვი იაკობსენი (HB), პოლი ჰანსენი (სკალა), ჰანს პოლი სამუელსენი (სტრეიმური), ჯულიან ჯონსონი (ტოფტირი);*

თავდამსხმელები: *სიმუნ სამუელსენი (კეფლავიკი, ისლანდია), არნბიორნ ჰანსენი (სტრეიმური), იონარდ ფრედერიკსბერგი (სკალა), კრისტიან იაკობსენი (რუნავიკი).*

დე. ილაპარაკონ

რაული: მე ვაცი არა ვარ, კაცი ვარ

7 ოქტომბერს ესპანეთის ნაკრები შვედეთთან რაულის გარეშე ითამაშებს. CANAL+-ის ცნობით, კასტილიელთა ეროვნული გუნდის მხცოვანი დამრიგებელი ლუის არაგონესი ნაკრებში ლეგენდარული რეალელის მიწვევას არ აპირებს. რაულს „ფურია როხაში“ დებიუტი 1996 წელს პრაღაში ჰქონდა და მას შემდეგ არც ერთი სანაკრებო ჯახი არ გამოუტოვებია, ტრავმიანობის პერიოდს თუ არ ჩავთვლით. ამგვარად, რაულ გონსალეს ბლანკოს ათწლიანი სანაკრებო გრგვინვა მთავრდება. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეროვნული გუნდის ყველა მწვრთნელი დიდ კაპიტანს მოწიწებით იწვევდა (ფორმაში ყოფნა-არყოფნის მიუხედავად) და დღეს კი ბებერმა ლუისმა უეცრად მის დახმარებაზე უარი თქვა. რაულს მადრიდული „ასი“ გაესაუბრა

— CANAL+ ირწმუნება, რომ ლუის არაგონესი ნაკრებში თქვენ მიწვევაზე უარს აცხადებს. მას უკვე ესაუბრეთ ამის შესახებ?

— არა, არაგონესს ჯერ არ შევხვედრივარ.

— გაგიკვირდათ, რომ ნაკრებში არ გიწვევენ?

— ეს ჩემი გადაწყვეტილება არ იყო. და საერთოდ, აქ ჩემზე ბევრი არაფერია დამოკიდებული, ყველაფერს მწვრთნელი წყვეტს.

— თუმცა მედიაში თქვენი ნაკრებში ყოფნა-არყოფნის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი...

— ვარაუდებზე საუბარს არ ვაპირებ. ნაკრებს მწვრთნელი ჰყავს და გუნდს გეზს იგი აძლევს. ჩემი აზრით, აქ უჩვეულო არაფერია.

— გულახდილად გვითხარით, როცა ნაკრებში ან „რეალში“ საქმეები ცუდად მიდის, რაული განტევების ვაცი ხომ არ არის?

— ამაზე ვერ გიპასუხებთ. ჩემთვის მთავარია, რომ თავს პროფესიონალად და ჩემი საქმის კარგად მცოდნედ ვგრძნობ. თუ არსებობს ხალხის კატეგორია, რომელსაც რაულის განტევების ვაცობაზე ლაპარაკი მოსწონს, კი, ბატონო, ილაპარაკონ... მე კი მშვენივრად ვიცი, ლუის არაგონესი და მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი ჩემზე რასაც ფიქრობენ... საკმაოდ მშვიდად ვარ. ლუის არაგონესის განცხადების გამო ნერვების დაწყვეტას არ ვაპირებ.

— კაპელომ თქვა, რომ ერთადერთი, რაც გაკლიათ გატანილი გოლების რაოდენობაა...

— თუ გასატანია, მალე გავიტან. იმ პოზიციაზე, სადაც ახლა ვთამაშობ, ამის შესაძლებლობები მექნება.

— ძველ რაულს მოედანზე მალე ვიხილავთ?

— მე ახლა გაცილებით უკეთესი ფეხბურთელი ვარ, ვიდერ ათი წლის წინ ვიყავი...

დარიო სილვამ ფეხი დაკარგა

დარიო სილვამ ფეხი დაკარგა. სამწუხაროდ, ურუგვაელი ვეტერანი საავტომობილო ავარიის შემდეგ ამპუტაციას ვერ გადაურჩა. „დარიოს სიცოცხლეს ახლა საფრთხე აღარ ემუქრება, თუმც ჩემმა შვილმა ფეხი დაკარგა და მწუხარებისგან განადგურებული ვარ“ — უთხრა ჰოსპიტალში, ფეხბურთელის ამბის გასაგებად მისულ ჟურნალისტებს დარიო სილვას დედამ, დორის პერეირამ.

„ესპანიოლის“, „სევილიასა“ და „მალაგას“ ექსმოთამაშე კვირას მონტევიდეოს ცენტრში საკუთარი პიკაპით განათების ბოძს შეეჯახა და მძიმედ დაშავებული, მახლობელ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. დარიომ ტრავმის შედეგად მარჯვენა ფეხი დაკარგა. გარდა ამისა, ურუგვაელ ფეხბურთელს თავის ქალის დაზიანებაც აქვს. „მთელ მსოფლიოდან მირეკავენ და მამხნევებენ. დარიოს ჯანმრთელობით განსაკუთრებით ესპანელები დაინტერესდნენ“ — განაცხადა თვალზე ცრემლმომდგარმა სენიორა პერეირამ.

დარიო სილვამ თამაში „პენიაროლში“ დაიწყო, შემდეგ კი იტალიურ „კალიარიში“ და ესპანურ „ესპანიოლში“, „სევილიასა“ და „მალაგაში“ ბურთაობდა. ალბიონურ „პორტსმუთში“ გატარებული პერიოდის შემდეგ სილვამ არგენტინულ „კოლონს“ მიაკითხა. როგორც ურუგვაელის მეგობრები აცხადებენ, 34 წლის სილვას კარიერის დასრულება მშობლიური ქვეყნის ლიგაში სურდა, თუმცა... დარიოსთან ერთად მანქანაში სხვა ფეხბურთელები, მისი მეგობრები — ელბიო პაპა და დარტო პერეირაც იყვნენ, ოღონდ მათ გაუმართლათ, მსუბუქად დაშავდნენ...

ლადო ხომერიკი

ბიბისიმ პირველი თავი უკვე გააგორა

ბონდი, რომელიც ვერ არის ჯეიმსი

ბიბისის დოკუმენტურ ფილმს უკვე შეეწირა პირველი მსხვერპლი: „ნიუკასლის“ მენეჯერის ასისტენტი კევინ ბონდი.

49 წლის ბონდი ამბობს, რომ სიმართლეს დაამტკიცებს, თუმცა ამან სამსახური ვერ შეუნარჩუნა. ის ყოფილი ფეხბურთელი და „მანჩესტერ სიტის“ ცნობილი მენეჯერის, ჯონ ბონდის ვაჟია.

ფარულ ჩანაწერში ის ამბობს, რომ განიხილავს აგენტისგან ფულის მიღების საკითხს. ბონდი, ერთხანას ჰარი რედნაპის თანაშემწე „პორტსმუთში“, ახლა აცხადებს, რომ არასოდეს მიუღია შავი ფული და ბიბისის უჩივლებს.

„ნიუკასლში“ კი ის მენეჯერმა გლენ რაიოდერმა მიიწვია ამ ზაფხულს, სავარაუდოდ, დიდი ხნით. ახლა კი ის უმუშევარია და ადვოკატებს ელაპარაკება.

მომიგე, რა!

პალერმოს უეფას თასი არ უნდა

მაურიციო ძამპარინი

„პალერმოს“ მარად ორიგინალურმა და თამამმა პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ მორიგი სენსაციური რამ განაცხადა. სინიორ ძამპარინი თურმე იმედოვნებს, რომ ინგლისური „ვესტ ჰემი“ მის გუნდს უეფას თასიდან გამოაგდებს.

შეგახსენებთ, საუბარია გუნდზე, რომელიც ამ კვირამდე ანუ სანამ „ემპოლისთან“ დამარცხდებოდა, სერია A-ს არც მეტი, არც ნაკლები, ლიდერობდა. ცნობისთვის: „პალერმოს“ ისტორიაში ასეთი რამ არ მომხდარა.

მაშ ასე, „როსანერო“ ხვალ, ხუთშაბათს, „ვესტ ჰემს“ ხვდება და თან უპირატესობა აქვს — ორი კვირის წინ „აპტონ პარკზე“ სიცილიელებმა ლონდონელები დაამარცხეს. მაგრამ, რად გინდა:

„დიდი იმედი მაქვს, რომ „ვესტ ჰემი“ გამოგვაგდებს. რომ ვერ გამოგვაგდოს, ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალ კვირას „კიევოსთან“ კვლავ წავაგებთ. ჩვენი გუნდი ორ შეჯიბრებაში მონაწილეობს და ამიტომ, რაც ახლა უეფას თასზე მოგახსენეთ, სრულიად გულწრფელად ვთქვი. უეფას თასს არას დაგიდევთ, ჩემთვის მთავარი იტალიის ჩემპიონატია“ — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა — როდესაც გუნდი ორ შეჯიბრებაში მონაწილეობს, თავის გატანის ერთადერთი გზა შემადგენლობის ტრიალი ანუ როტაციაა, მაგრამ როტაცია საჩვენო საქმე არ გახლავთ. სერია A-ს ცხრილის სათავეში ყოფნა დიდებული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მოულოდნელმა და, არ დაგიმალავთ, გამაღიზიანებელმა მარცხმა დაბლა დაგვწია. მწამს, ჩვენი უმთავრესი პრობლემ დაცვაა, რადგან მეტოქეებს ძალიან ბევრი გოლის გატანის საშუალებას ვაძლევთ. ერთი სიტყვით, წაგებებმა ჭკუა უნდა გვასწავლოს, ხოლო ყურადღება უნდა გავაათმაგოთ.“

პაპუნა კედია

მეჰდი სამდავიკია

გერმანული „ჰამბურგის“ ირანელმა ნახევარმცველმა მეჰდი მაჰდავიკიამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და 5 ათასი ევროთი დაისაჯა. მიზეზი, ბრემენის „ვერდერის“ ბრაზილიელ ლეგიონერ დიეგოს წინააღმდეგ ძალიან უხეში თამაშია.

მაჰდავიკიამ გასულ შაბათს „ჰამბურგი“ — „ვერდერის“ მატჩის 73-ე წუთზე იუხეშა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო, თუმცა ფედერაციამ მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია არ აკმარა. სამწუხაროდ, დიეგოს ტრავმა მძიმე აღმოჩნდა და შესაძლოა, მან დღეს „ბარსელონასთან“ თამაში ვერ მოახერხოს.

დიდი შანსია, გერმანიის ფეხბურთის კავშირმა „ჰამბურგიც“ დააჯარიმოს, რადგან „ვერდერთან“ მატჩში მასპინძელთა ფანებმა ბრემენელთა მეკარე ტიმ ვიზეც კინაღამ დააზარალეს. მას მაშხალები და ბოთლები ესროლეს, რის გამოც თამაში ცოტა ხნით შეწყდა. დისციპლინარული კომიტეტი ამ საკითხზე უახლოეს დღეებში იმსჯელებს.

კოკი კანდელაკი

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. II ტური, დღეს

A ჯგუფი

ვერდერი — ბარსელონა

მე პატარა ბიჭი ვარ ბარსელონას ფორმაში

ვერდერი — ბარსელონა

„ვეზერშტადიონის“ მატჩამდე კატალონიური „ელ მუნდო დეპორტივოს“ კორესპონდენტი ბრემენის „ვერდერის“ რამდენიმე წამყვან მოთამაშეს გაესაუბრა. ცხადია, ბარსელონურ მედიას ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, გერმანელები „ბარსაზე“ რას ფიქრობდნენ. აი, მათი აზრიც: „ბარსელონა“ ძალიან მომწონს. მიუხედავად იმისა, რომ ჰამბურგში დავიბადე, ბავშვობისას მხოლოდ ერთი გუნდის მაისურას ვიცვამდი და ეს „ბარსელონაა“ — განაცხადა „ბრემენის“ მცველმა პატრიკ ოვომოიელამ.

„ვაღმერთებ რონალდინიოს. ბრაზილიის ნაკრებში ერთად გვითამაშია. იგი, როგორც ფეხბურთელი და პიროვნება, შესანიშნავია. „ბარსა“ კი „ჩელსისთან“ ერთად ლიგის ფავორიტია“ — თქვა ნახევარმცველმა დიეგომ. ტორსტენ ფრინგსმა კი პირდაპირ აღნიშნა, ლიგას კატალონიელები მოიგებენო: „ლიგის გამარჯვებული კვლავ „ბარსა“ გახდება. ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული...“

რა თქმა უნდა, ბრემენელთა მიერ მეტოქით აღტაცება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ „ვეზერშტადიონზე“ „ვერდერი“ გამარჯვების მისაღწევად უნდილად იბრძოლებს. თომას შააფის ბიჭებს 19 აგვისტოს შემდეგ მოგების სიხარული არ უნახავთ და, ცხადია, შინაურ არენაზე გულშემატკივართა გასახარებლად თავს არ დაზოგავენ. ბოლოს „ვერდერმა“ ბუნდესლიგაში „ლევერკუზენს“ 2:1 მოუგო. ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი კი ალემანებმა მაურინიუს „ჩელსისთან“ ლონდონში 0:2 წააგეს.

ბრემენელთა მთავარ ვარსკვლავ მიროსლავ კლოზეს „ჩელსისთან“ ხსენებულ ჯახში ნატკენი კოჭი აწუხებს, თუმცა გერმანული მედია ამტკიცებს, 27 სექტემბრისთვის კლოზე ჩინებულ ფორმაში იქნებაო. „ვეზერშტადიონის“ და გერმანიის ნაკრების განთქმულმა მოიერიშემ ტრავმის გამო „ჰამბურგთან“ ამასწინანდელი მატჩი გამოტოვა.

ჰამბურგელმა მეჰდი მაჰდავიკიამ კი ბრაზილიელი დიეგო დალეწა და, კლოზესგან განსხვავებით, დღეს „ბარსასთან“ მისი მოედანზე გასვლა საკმაოდ საეჭვოა. საერთოდ, „ჰამბურგთან“ ის მატჩი ბრემენელთათვის ფრიად სახიფათო იყო — „ვერდერის“ მეკარე ტიმ ვიზეს მავანმა ჩრდილოგერმანელმა ფანმა თავში **ZIPPO**-ს კარგა მოზდრილი სანთებელა ხეთქა და კინაღამ სერიოზული ტრავმა მიაყენა. სანთებელა ყურში რომ მომხვედროდა, სამუდამოდ დავყრუვდებოდიო — დაიჩივლა თამაშის შემდეგ ვიზემ. „მუსიკოსთა“ ძირითადი მეკარე სადღეისოდ ფორმაშია და კატალონიელებთან კარში ის დადგება. შეგახსენებთ, რომ ლიგის პირველ მატჩში „ჩელსისთან“, ვიზეს ტრავმის გამო ალემანთა მისადგომებს სათადარიგო ანდრეას რაინკე იცავდა.

ლიგის შარშანდელი გამარჯვებული „ბარსელონა“ გერმანულ არენას რაფაელ მარკესის, ხავიერ სავიოლასა და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის გარეშე ესტუმრება. „ბარსას“ თავკაცი რაიკარდი, მოგეხსენებათ, თამამი როტაციების ტრფიალია და სალიგო ჯახისთვის „ვალენსიასთან“ ამასწინანდელ მატჩში მეომარი ბიჭები განაცხადში არ შეიყვანა. სამაგიეროდ, „ვეზერშტადიონზე“ ახალი სახეები — ტურამი, ტიაგო მოტა, სილვინიო — ითამაშებენ. ეს უკანასკნელნი ჯოვანი ვარ ბრონკჰორსტს შეცვლის. ჰოლანდიელმა ჯიიმ გასულ სეზონში ლიგის ყველა მატჩში (13) მიიღო მონაწილეობა, წლეულს კი როტაციებს „შეეწირა“...

ლევსკი — ჩელსი

მიროსლავ კლოზე (მარცხნივ) ტრავმიანიც ითამაშებს

დეკუ და რონალდინიო მსუბუქად დაშავებულნი ყოფილან, თუმცა გუნდის ექიმთა განცხადებით, ეს მათ თამაშში ხელს ვერ შეუშლით.

ლევსკი — ჩელსი

ჯგუფის მეორე თამაშში წინა ტურში „ბარსასთან“ 0:6 თავლაფდასხმული „ლევსკი“ „ჩელსის“ მასპინძლობს. ბულგარელებს თავდამსხმელი ემილ ანგელოვი ვერ დაეხმარებათ, კატალონიელებთან ომში მძიმე ტრავმა მიიღო. ასევე ვერ ითამაშებს ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდი ვალერი დომოვჩისკი, რომლის მაგივრად მოედანზე ვეტერანი გეორგი ივანოვი გამოვა. „ჩელსის“ ტრავმამორჩენილი ჯონ ტერი უბრუნდება. ლონდონელებს ბოლო ოთხი თამაშია, საკუთარ კარში გოლი არ მიუღიათ. გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და ინგლისურ პრემიერლიგასაც ლიდერობს.

ლადო ხომგრიძე

B ჯგუფი

ინტერი — ბაიერნი

პატრიკ ვიეირას სიწითლემ გადაჭარა

ინტერი — ბაიერნი

ლისაბონში „სპორტინგთან“ წაგების მერე მილანის „ინტერმა“ თამაში გამოასწორა და დღეს „ბაიერნის“ დასამარცხებლად ემზადება. თუ „ნეროაძური“ ამ მატჩს ვერ მოიგებს, შესაძლოა, ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაუჭირდეს და ეს რობერტო მანჩინიმ შეგირდებითურთ კარგად იცის.

სპარტაკი — სპორტინგი

დაკურის დაკრულზე აღარ ვიცეკვებთ

ეს კლუბები აქამდე ერთმანეთს ორჯერ შეხვედრიან. 1988 წელს უეფას თასის მესამე ეტაპზე „ინტერმა“ გასვლაზე 2:0 მოიგო, მაგრამ მერე შინ 1:3 დამარცხდა და გზა მიუნხენელებს დაუთმო.

„ინტერის“ მთავარი იმედი ერნან კრესპოა. არგენტინელი ფორვარდი ჩინებულ ფორმაშია და ბოლო ორ მატჩში სამი გოლი აქვს გატანილი. მისი მეწყვილე ამჯერად ალბათ ზლატან იბრაჰიმოვიჩი იქნება, ხოლო ადრიანო თამაშში მოგვიანებით ჩაერთვება.

„ჯერჯერობით ჩემთვის ყველაფერი კარგად მიდის და, რაც მთავარია, „ინტერისთვისაც“. სამმაგად გახარებული ვარ, რადგან მოვიგეთ, ცხრილის სათავეში ვართ და ორი გოლი შევაგდე. ახლა მინდა, „ინტერში“ ჩემი დაბრუნება ჩემპიონთა ლიგაში გოლით აღვნიშნო და ამის გაკეთებას „ბაიერნთან“ შევეცდები. თუმცა მძიმე ბრძოლა გველის. რაც შეეხება ადრიანოს, მან ასისტენტობა კარგად გამიწია და ნელ-ნელა ფორმაში შედის“ — განაცხადა კრესპომ.

მილანელებს ტრავმირებული ესტებან კამბიასო და დისკვალიფიცირებული პატრიკ ვიეირა არ ეყოლებათ. „ბაიერნს“ კი დაშავებული ოუენ ჰარგრივსი დააკლდება.

რობერტო მანჩინი: „სამი ქულა გვჭირდება და კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ.

სპარტაკი — სპორტინგი

სპარტაკი — სპორტინგი

მოსკოვის „სპარტაკი“ საკუთარ კედლებში შეეცდება, ჩემპიონთა ლიგის ანტირეკორდს წერტილი დაუსვას. ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში მოსკოველებს 18 მატჩია, არ მოუგიათ და მიჯრით 8 წაგება აქვთ. მეტიც, „სპარტაკმა“ ბოლო შვიდ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

„სპორტინგს“ ევროტურნირებზე 16 გასვლითი მატჩია, არ უმარჯვია, ბოლო 5 კი წაგებული აქვს. ლისაბონელები რუსულ კლუბებს სამჯერ შეხვედრიან და ყველაში დამარცხდნენ. ბოლოს ეს 2005 წელს ცსკასთან უეფას თასის ფინალში მოხდა. ორჯერ კი პორტუგალიელებმა სწორედ „სპარტაკთან“ დაიმეს ბრძოლა. 2000 წელს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსკოველებმა შინ 3:1 იმარჯვეს, გასვლაზე კი — 3:0

ერთი სიტყვით, მოსკოვში დაძაბული და საინტერესო მატჩი გველის. ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით „სპორტინგისთვის“, რომელსაც „ინტერის“ დამარცხებით ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გაუჩნდა. „სპარტაკმა“ კი წაგების შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე თამაშზე ალბათ აღარც უნდა იოცნებოს. მოსკოველებს არც ფრე აძლევთ ხელს. ორივე გუნდის შემადგენლობა საბრძოლოა.

გიორგი კაკაბაძე

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დღეს

C ჯგუფი

ლივერპული — გალათასარაი

ვეძებთ გოლს!

ლივერპულს გატანა დაავიწყდა

ლივერპული — გალათასარაი

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთ მატჩში გოლი არ გაუტანია. უდიდესი ინგლისური კლუბის ისტორიაში ეს უცუდესი შედეგია. დღეს კი „ლივერპული“ „გალათასარაის“ ხვდება და, რაღა თქმა უნდა, ხუთმატჩიანი მშრალი სერიის „დასველებას“ ეცდება. მით უმეტეს, რომ პრემიერლიგის ბოლო ორ ტურში რაფაელ ბენიტესის გუნდმა ხუთი გოლი გაიტანა. ჯერ „ნიუკასლს“ მოუგო (2:0), შემდეგ „ტოტენჰემიც“ (3:0) მიაყოლა. „ლივერპულს“ საგოლე ალღო დაუბრუნდა და „გალათასარაის“ „ენფილდზე“ ძალიან გაუჭირდება. გარდა ამისა, მერსისაიდულ კლუბს ჩემპიონთა ლიგის ბოლო 16 საშინაო შეხვედრიდან მხოლოდ ორი წაუგია, ხოლო „გალას“, თავის მხრივ, ამავე შეჯიბრებაში სტუმრად ბოლო 19-დან ორზე მეტი არ მოუგია. სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, „ლივერპულმა“ სტამბოლელი სტუმრების დამარცხება უნდა მოახერხოს.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში ბენიტესის გუნდი სტუმრად პსვ-ს უგოლოდ დაუზავდა, ხოლო „გალათასარაიმ“ ასევე ფრე ითამაშა შინ „ბორდოსთან“. ჩემპიონთა ლიგის 2002 წლის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე „გალათასარაი“ და „ლივერპული“, ცხადია, ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. „ენფილდზე“ მატჩი 0:0 დასრულდა, ხოლო სტამბოლში — 1:1. იმ სეზონის შემადგენლობიდან ამჟამად „ლივერპულში“ ოთხი ფეხბურთელია: ჯეიმი კარაგერი, სტივენ ჯერარდი, სემი ჰიპია და იონ არნე რიისე; ხოლო „გალათასარაიში“: ემრე აშიკი, უმით კარანი, ფარიდ მონდრაგონი და ჰასან შაში.

„გალაში“ ამჟამად თამაშობს კამერუნელი მცველი რიგობერტ სონგი, რომელსაც 1999-2000 წლების სეზონი „ლივერპულში“ გაუტარებია და ყოფილ გუნდს დღეს შეხვდება.

როცა რაფაელ ბენიტესი „ვალენსიას“ წვრთნიდა (2003-2004) და უეფას თასი მოიგო, გზად ორი თურქული კლუბი ჩამოიშორა: „ბეშიქთაში“ და „გენჩლერბირლიგი“.

ბორდო — პსვ

ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში პსვ ჩემპიონთა ლიგაში კარგად თამაშობდა და ეს უპირველესად გუს ჰიდინკის დამსახურება იყო, რომელიც ამჟამად რუსეთის ნაკრების მწვრთნელია. ჰიდინკის წასვლის შემდეგ გუნდიდან რამდენიმე მთავარი ფეხბურთელიც აიბარგა, მწვრთნელად კი რონალდ კუმანი მივიდა. მან წინა სეზონი „ბენფიკაში“ გაატარა, რომელიც მეოთხედფინალში გაიყვანა და იქ „ბარსელონასთან“ წააგო.

პსვ-მ 1988 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო და იმ გუნდში თამაშობდა რონალდ კუმანი.

ჩემპიონთა თასის ფინალში უთამაშია „ბორდოს“ ბრაზილიელ თავკაც რიკარდოსაც. 1990-ში იგი „ბენფიკას“ ფეხბურთელი იყო, როცა ლისაბონელებმა „მილანთან“ წააგეს.

„ბორდომ“ საფრანგეთის ჩემპიონატის გასულ ტურში „ტრუა“ დაამარცხა. იმ მატჩში ჟირონდელებს ორი მთავარი ფეხბურთელი აკლდათ — იონ მიკუ და ჟულიენ ფობერი. პირველს მუხლი აწუხებდა, ხოლო მეორეს — საზარდული. ამ ორი ნახევარმცველის გარდა, დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნებიან რიო მავუბა და ფერნანდო, რომლებმაც ორი კვირის წინ სტამბოლში „გალათასარაისთან“ შეხვედრა გამოტოვეს. რიკარდოს ერთადერთი დანაკლისი ცენტრალური მცველი მარკ პლანუსია. უკვე რამდენიმე კვირაა, ფეხის ტრავმის გამო მას არ უთამაშია.

ჟულიენ ფობერი (მარჯვნივ) „ბორდოს“ დაუბრუნდა

„ბორდომ“ ცხრა მატჩი გამართა ჩემპიონთა ლიგაში და ჯერ ერთიც არ მოუგია. ევროთასებზე ჰოლანდიურ კლუბებს რვაჯერ გადაეყარა და მხოლოდ ერთხელ წააგო, ოთხი საშინაო შეხვედრიდან კი სამში აჯობა ტიტების ქვეყნელებს.

რაც შეეხება პსვ-ს, ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამ მატჩში გოლი არ გაუტანია და რვაში მხოლოდ სამი შეაგდო. ფრანგულ კლუბებთან ბოლ[illegible] ექვს თამაშში ოთხი ფრე[illegible] გაახერხა და ორჯერ დამარცხდა.

ირაკლი ნინიძე

D ჯგუფი

ვალენსია — რომა

ედუ: მოვხვერხოთ ტოტი!

კარო ტორესი რაულ ალბიოლს ვარჯიშზეც არ ინდობს

ვალენსია — რომა

ეს გახლავთ D ჯგუფის პირველ ტურში გამარჯვებული გუნდების შეხვედრა. შეიძლება ასეთ ვთქვათ: ეს არის **D** ჯგუფის ფავორიტთა უშუალო დაპირისპირება, რადგან „ვალენსიასა“ და „რომასთან“ შედარებით, დონეცკის „შახტარი“ და პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ ფავორიტებად ნამდვილად ვერ ჩაითვლებიან. მოკლედ, დღეს „მესტალიაზე“ მოპოვებულ სამ ქულას დიდი ფასი ედება.

აღსანიშნავია, რომ როგორც „ვალენსია“, ასევე „რომა“, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდნენ. პირველ ტურში ესპანურმა გუნდმა დაამარცხა „ოლიმპიაკოსი“ (4:2) და რაც ყველაზე საინტერესოა, თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიში 2:2 იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მეოთხე გოლი 90-ე წუთზე სამშობლოში ინგლისური პრემიერლიგიდან, კერძოდ, „ლივერპულიდან“ დაბრუნებულმა მადრიდის „რეალის“ ყოფილმა ვარსკვლავმა ფერნანდო მორიენტესმა შეაგდო.

„რომამ“ დონეცკელებს უფრო იოლად მოუგო — ჯალოროსიმ უკრაინელებს ოთხი გოლი გაუტანა.

„რომა“ ძლიერი გუნდია, რომელსაც ბევრი თამაში მოუგია და მომგების მენტალიტეტი აქვს ჩამოყალიბებული, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა შეჯიბრებაა — განაცხადა ვალენსიელთა ნახევარმცველმა ედუმ — თანაც ჩვენ უპირატესობა გვაქვს, რადგან შინ ვთამაშობთ. გარდა ამისა, „რომას“ ერთი თავისებურება ახასიათებს. კერძოდ, მას ჰყავს გამოკვეთილი ვარსკვლავი ფრანჩესკო ტოტი, რომელიც ხშირად მთელი გუნდის თამაშს განაპირობებს. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისი უნდა გვეშინოდეს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მის შესაძლებლობებს ამ შეხვედრაში შევზღუდავთ. მთავარია, ჩვენმა დაცვამ ითამაშოს კარგად.“

საინტერესოა, რომ „ვალენსიასა“ და „რომას“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ „ეტაპზე 2003 წელს უკვე უთამაშიათ ერთმანეთის წინააღმდეგ„ ოღონდ ესპანური გუნდისთვის ეს გამოცდილება არაფრისმომცემია, რადგან მაშინდელი „რომადან“ მხოლოდ ზემოხსენებული ფრანჩესკო ტოტია დარჩენილი.

შახტარი — ოლიმპიაკოსი

შახტარი — ოლიმპიაკოსი

ჩვენი მეორე ნომერი სოფო მელიქიშვილი რეიტინგის 291-ე საფეხურზე იმყოფება და ამ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, აშლანდის ჰარდზე ასევე ITF-ს ეგიდით მიმდინარე 50 ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას კვალიფიკაციის გავლით ცდილობს.

აშლანდში თამაში სოფომ წარმატებით დაიწყო და პირველ ეტაპზე რეიტინგის 425-ე ნომერს, ავსტრალიელ ნიკოლ კრისს 6:2 6:3 სძლია. მეორე წრეში ქართველის მეტოქე 22 წლისა და კლასიფიკაციაში 375-ე ადგილზე მყოფი უკრაინელი ტატიანა ლუშინსკა იქნებოდა, რომელმაც მანამდე ოდესღაც უპერსპექტიულეს მეჩოგნედ მიჩნეულ ამერიკელ ალექსანდრა სტივენსონს აჯობა. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, კალათბურთის ლეგენდის, ჯულიუს ირვინგის უკანონო ქალიშვილი, ვისაც ამ ოთხი წლის წინათ რეიტინგში მე-18 პოზიცია ეკავა და უიმბლოდონის ნახევარფინალშიც უთამაშია, თუმცაღა ახლა ოდენ 411-ეა, 5:7 2:4 აგებდა უკრაინელთან, როდესაც თამაში შეწყვიტა.

საინტერესოა, რომ აშლანდში თამაშზე გაანცხადი კიდევ ერთმა ჩვენებურმა, კლასიფიკაციის 620-ე ნომერმა სალომე დევიძემაც შეიტანა, მაგრამ დაბალი რეიტინგის გამო კვალიფიკაციის მონაწილეთა შორის ვერ მოხვდა.

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე
ელისტა. რუსეთი. 23 სექტემბერი-12 ოქტომბერი

კრამნიკმა ყაიმი ჩაიფიქრა

ვლადიმირ კრამნიკმა ვესელინ ტოპალოვთან მესამე შეხვედრა ყაიმით დაასრულდა და ანგარიშში სხვაობა უცვლელი დარჩა. რუსი კრამნიკი ბულგარელ ტოპალოვს 2,5:0,5 უგებს და ჩემპიონობის ჩინებული შანსიც აქვს. წინ კიდევ 9 პარტიაა სათამაშო და არა მგონია, გამოცდილმა კრამნიკმა ამხელა უპირატესობა ადვილად დათმოს.

მოჭადრაკეებმა პირველი შეხვედრის მსგავსად, მესამეშიც კატალონიური დებიუტი გაითამაშეს. ტოპალოვმა თავიდანვე იერიშებს მიმართა, ლაზიერის ფლანგიდან პაიკი მსუბუქ ფიგურებთან ერთად ცენტრში წამოსწია და თეთრებს დაარტყა. კრამნიკმა ბულგარელის შემოტევა დედოფლით მოიგერია, მე-9 სვლაზე როქი გააკეთა და საპასუხოდ მხედრები გამოაჭენა. რუსმა ორივე მხრიდან შეუტია შავ ხელმწიფეს და მეტოქეს დროებით უკან დაახევინა. ტოპალოვმა მალევე შეძლო რეაბილიტაცია, მე-20 სვლაზე როქი ითამაშა და ლაზიერის ფლანგიდან თეთრებს დაემუქრა. პარტია ორმხრივ იერიშებში გადაიზარდა, ტოპალოვმა a ხაზი ლაზიერით მოასუფთავა და პაიკების გაყვანას შეუდგა. კრამნიკმა ყაიმისთვის დაიწყო ბრძოლა, ლაზიერი შავი მეფის რეზიდენციაში შეუშვა, სვლები გაამეორებინა და 38-ე სვლაზე მეტოქეს სასურველი ყაიმიც გამოსტყუა.

ტოპალოვი დღეს თეთრებით გამოვა და როგორც განაცხადა, მხოლოდ მოგებისთვის იბრძოლებს.



ვლადიმირ კრამნიკი

ლუზა გეგეჭკორი

ასე იცის სიყვარულმა და ოჯახმა

ლადო ჩიხლაძემ ბუდაპეშტი თემურ კაკულიას მიუძღვნა

ბადრი კეთილაძის ფოტო

გაისად ჩვენი სადევისთასო ნაკრები ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ითამაშებს, რაც შინაური ჩოგბურთის დამოუკიდებლობის ხანაში არნახული შედეგია. დევისის თასის პირველი ჯგუფის ზევით მხოლოდ ელიტაა და იქ მოხვედრას ჩვენები გაისად ეცდებიან, მანამდე კი პირველი ჯგუფიც დიდი სიმაღლეა, რაკი აქამდე ესეც სანატრელი იყო.

ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე — სწორედ ამ დუეტის უდიდესი დამსახურებაა, საქართველო სადევისთასო ბობოლებში რომ გაერია. გაზაფხულზე სამხრეთ აფრიკა, ზაფხულში პოლონეთი, ახლა კი უნგრეთი — ასეთი გზა გაიარეს ქართველმა ჩოგუბრთელებმა. სამივე მატჩში მეხუთე, გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარება გახდა საჭირო და სამჯერვე გამარჯვება ჩვენებს დარჩათ — აფრიკელებთან ლადო ჩიხლაძემ მოიგო ბოლო თამაში, ჰოლანდიელებთან — ლაბაძემ, უნგრელებთან კი ისევ ჩიხლაძემ დააშვებინა მეტოქეს ჩოგანი.

ლადო ჩიხლაძე გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდა უნგრეთიდან და ინტერვიუსთვისაც მოიცალა

— უნგრელებთან მატჩი ძალიან ცუდად დაიწყეთ. პირველი დღის შემდეგ 0:2 აგებდით და გულახდილად გვითხარი, გქონდათ თუ არა იმედი, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებდით.

— იმედი, რა თქმა უნდა, იყო. დევისის თასზე ისე აგვეწყო საქმეები, რომ ბოლო დღემდე ვაგებდით და ყოველთვის გადამწყვეტ მატჩზე ვიყავით დამოკიდებული, ამიტომ ასეთ ვითარებას შევეჩვიეთ და არც გული აგვცრუებია. მეც და ირაკლიც დარწმუნებულები ვიყავით, რომ დარჩენილ შეხვედრებს მოვიგებდით და საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა.

— პირველ დღეს ორივემ წააგეთ. მაინც რა იყო ამის მიზეზი?

— ალბათ, გადაღლილობა. მე აშშ-დან ჩავფრინდი ბუდაპეშტში და საკმაოდ შორი გზა გავიარე. ირაკლის კი ბოლო ტურნირები გაუცდა და პრაქტიკულად ფორმაში არ იყო. სხვა პრობლემა თითქმის არ გვქონია. ერთი სიტყვით, ზუსტად ის პირველი დღე დაგვჭირდა, რომ გავხსნილიყავით და ჩვენი თამაში გვეთამაშა.

— თქვენს არასტაბილურ გამოსვლაზე უნგრეთში დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ხომ არ იქონია გავლენა?

— არა. მართალია, ბუდაპეშტში დაძაბული ვითარება იყო, მაგრამ ჩვენ ქალაქგარეთ ვცხოვრობდით და ასე ვთქვათ, არაფერი გაგვიგია. ამ მხრივ, პრობლემა არ გვქონია, მხოლოდ ჩოგბურთის თამაშზე ვფიქრობდით, პოლიტიკური დაძაბულობა არც კორტზე და არც მის მიღმა არ იგრძნობოდა.

— მეორე დღეს, წყვილებში რომ მოიგეთ, საბოლოოდ მაშინ ირწმუნეთ გამარჯვების?

— ფაქტობრივად, ასეც იყო. მართალია, პირველი სეტი წავაგეთ, მაგრამ მერე მეც და ირაკლიც ბოლომდე გავიხსენით და რასაც ჰქვია, ავთამაშდით. სწორედ მაშინ ვირწმუნეთ, რომ, უნგრელების, როგორც იტყვიან, გადავლა შეგვეძლო და ასეც გავაგრძელეთ.

— უნგრელებთან შეხვედრამ შენზე და ირაკლიზე გადაიარა, მეტოქემ კი წყვილთა მატჩებში დასვენებული ჩოგბურთელები დაგიპირისპირათ. დაღლილობაც ხომ არ დაგეტყოთ?

— არა, რადგან ლაბაძეს ბოლო ტურნირებზე თითქმის არ უთამაშია — ამ მხრივ, პრობლემა არ ჰქონია. მე მხოლოდ პირველ დღეს ვიყავი მგზავრობით დაღლილი, მერე კი გავიხსენი, თანაც ფიზიკურად საკმაოდ კარგად ვარ მომზადებული.

— ბოლო მატჩში შენზე იყო დამოკიდებული, გაიმარჯვებდით თუ არა...

— არანაირი ფსიქოლოგიური დაძაბულობა არ მქონია. პირიქით, ყოველგვარი კომპლექსების და შიშის გარეშე ვთამაშობდი. თანაც ტრიბუნაზე რამდენიმე ქართველი, მათ შორის დედაჩემი, მამაჩემი და ჩემი შეყვარებული ისხდნენ. მათი მხარდაჭერით დავფრინავდი. ერთი სიტყვით, მატჩამდე ვიცოდი, რომ აუცილებად მოვიგებდი. და ერთსაც დავამატებ, ახლახან გარდაიცვალა ჩემი პირველი მწვრთნელი თემურ კაკულია. მან მაზიარა დიდ ჩოგბურთს, მშობელივით ზედ გადამყვა და ამ გამარჯვებას სწორედ მის ხსოვნას ვუძღვნი.

ბაჩო სვანიძე

ივან ლიუბიჩიჩი

AFP ბანკოკიდან

ანჩიჩმა შანხაისკენ გაიწია

კაცები
ბანგკოკი. ტაილანდი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 525 000 $

პირველი წრე

რობი ჯინეპრი (7, აშშ) — **კენეტ კარლსენი** (დანია) 6:3 6:4; **ალეძს ბოგდანოვიჩი** (ბრიტანეთი) — **იუ-ცუ ვანგი** (სამხ. კორეა) 6:7 6:4 6:4; **მიშა ზვერევი** (გერმანია) — **ხუან-კარლოს ფერერო** (6, ესპანეთი) 4:6 6:2 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (1, ხორვატია) — **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) 6:3 3:6 6:4

კაცები
პალერმო. იტალია. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

პირველი წრე

რუბენ რამირეს-იდალგო (8, ესპანეთი) — **ალესიო დი მაურო** (იტალია) 7:6 6:3; **ალბერტ მონტანიესი** (ესპანეთი) — **ლუის ჰორნა** (7, პერუ) 5:2 *(უარი)*

კაცები
მუმბაი. ინდოეთი. ჰარდი
საპრიზო 380 000 $

პირველი წრე

მიხაელ ბერერი (გერმანია) — **კონსტანტინს ეკომონიდისი** (საბერძნეთი) 6:2 7:6; **ბიორნ ფო** (6, გერმანია) — **კარარ რასტროგი** (ინდოეთი) 6:0 6:3; **სტეფანო გალვანი** (იტალია) — **რობინ ვიკი** (ჩეხეთი) 5:7 6:4 6:4; **მარიო ანჩიჩი** (2, ხორვატია) — **იგორ კუნიცინი** (რუსეთი) 6:2 6:3

ქალები
ლუქსემბურგი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 600 000 $

პირველი წრე

სამანტა სტოსური (ავსტრალია) — **ანა კრემერი** (ლუქსემბურგი) 6:1 6:4; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — **მარტინა მიულერი** (გერმანია) 6:3 6:0; **კვეტა პეშკე** (ჩეხეთი) — **ჯულია შრუფი** (გერმანია) 7:5 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) 7:6 6:3; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — **სიბილ ბამერი** (ავსტრია) 6:1 3:6 6:3

ქალები
გუანჯოუ. ჩინეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 175 000 $

პირველი წრე

ალისია მოლიკი (ავსტრალია) — **ვანია კინგი** (აშშ) 6:7 6:3 7:5; **ლურდეს დომინგეს ლინო** (5, ესპანეთი) — **ენ კეოტავანგი** (აშშ) 6:3 6:4; **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) — **მეგან შონესი** (5, აშშ) 6:4 6:4; **ტიან ტიან სუნი** (ჩინეთი) — **ტინგ ლი** (ჩინეთი) 6:0 6:3

ქალები
სეული. სამხ. კორეა. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

პირველი წრე

ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) — **ლუსი შაფაროვა** (8, ჩეხეთი) 7:5 6:4; **პაულა სუარესი** (არგენტინა) — **გიზელა დულკო** (არგენტინა) 6:1 6:3; **აკიკო მორიგამი** (იაპონია) — **სოფია არვიდსონი** (6, შვედეთი) 6:0 6:4; **აიკო ნაკამურა** (იაპონია) — **მარიანა დიას-ოლივა** (არგენტინა) 7:6 6:3; **მარიონ ბარტოლი** (3, საფრანგეთი) — **ჯილ კრეიბასი** (აშშ) 6:4 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (5, რუსეთი) — **კამილ პინი** (საფრანგეთი) 6:1 6:2; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — **მარია კირილენკო** (2, რუსეთი) 6:3 5:7 7:5

ფედერაციის და დევისის თასების მოლევის შემდეგ საჩოგბურთო სამყარო ძველებურად გამოცოცხლდა და ამ კვირას ერთბაშად ექვს ქალაქში დაიწყო ტურნირები. ამათგან ზოგი საკმაოდ წარმომადგენლობითია, ზოგი კი საშუალო დონის, მაგრამ ინტერესმოკლებული არც ერთი მათგანი არ არის იმიტომ, რომ ჩოგბურთელთა უმთავრესი მიზანი უახლოეს ოვენახევარში წლის შემაჯამებელ ტურნირებზე მოხვედრაა — ეს რეიტინგში საუკეთესო რვაში ადგილის მოპოვებით შეიძლება. ამიტომ, ვისაც შანხაისა და ლოს ანჯელესში მოხვედრა სწადია, მაგრამ იქ ადგილი ჯერაც არ დაუჯავშნია, ამიერიდან კორტზე თავს დადებს.

ასეთების რიცხვს მიეკუთვნება მარიო ანჩიჩი. მართალია, ახალგაზრდა ხორვატს ტრავმის გამო უიმბლდონის შემდეგ თითქმის ორი თვე გაუცდა, მაგრამ სეზონის დანარჩენი ნაწილის მშვენივრად გავლის გამო რეიტინგში კვლავ მეათე ადგილზეა და მეექვსეზე მყოფ ტომი რობრედოსთან სულ რაღაც 35 ქულას აგებს. ამის გამო ბალკანელი ბოლო კვირებში ლომივით იბრძვის და აგერ მუმბაიში მეოთხეფინალს მაინც თუ უწია, რეიტინგში წინაც წაიწევს.

ამისკენ ხორვატმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი, როცა იგორ კუნიცინს იოლად გადაურა და ახლა იტალიელი გალვანის სახით არცთუ სერიოზული მეტოქე ელის.

ანჩიჩისგან განსხვავებით, შანხაიში თამაში ფაქტობრივად გაინაღდა მისმა უფროსმა თანამემულე ივან ლიუბიჩიჩმა. თუმც ეს ხორვატი ამ ბოლო ხანებში ძალიან უფერულად ირჯება და უკვე რამდენიმე ტურნირია, საწყისი წრეების დაძლევაც უჭირს. აგერ ბანგკოკშიც ფერნანდო ვისენტესთან კინაღამ წააგო. თუმც კინაღამ არ ითვლება და ხორვატიც ტაილანდში მინიმუმ ორიოდე დღე კიდევ დარჩება.

ქალების ტურნირებიდან კი ლუქსემბურგში დაწყებული შეჯიბრია გამოსაყოფი, სადაც საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბა, თუმც ფავორიტები კორტზე ჯერ არ გასულან. გამართული შეხვედრებიდან კი დანიელა ჰანტუხოვას მიერ თავისნაირი „მუდმივ ტალანტად დარჩენილ ტატიანა გოლოვინის დამარცხებაა აღსანიშნავი.

კახა ლომაჯვილი

ბათუმის ღია წვიმამ დასრულა

თბილისური „ბორჯომის თასის“ დარად „ბათუმის ქალთა ღიაც“ წვიმით დაიწყო — გუშინ ზღვისპირულმა ამინდმა თავისი ჭირვეული ხასიათი გამოავლინა და თამაშს ვინ ჩივის, კორტები ლამის წყალმა წალეკა.

იმედია, დღეისთვის გამოიდარებს და ბათუმის 25 ათასიანი შეჯიბრიც აინაზღაურებს გუშინდელ დანაკარგს. მანამდე კი იმას მოგახსენებთ, რომ ტურნირის ძირითად ბადეში ოთხი ქართველი ითამაშებს. ამათგან ერთმა, კერძოდ კი სალომე ჩაჩხუნაშვილმა ამის უფლება საკვალიფიკაციო შეჯიბრში მოიპოვა, სადაც ერთმანეთის მიყოლებით აჯობა ორ რუსს — ევგენია პაშკოვასა (6:1 7:5) და ელენა კულიკოვას (6:3 6:1).

ძირითადი ტურნირის წილისყრამ კი სალომეს აშკარად არ გაუმართლა — ნორჩი ქართველი პირველ ნომრად განთესილ ჩეხ პეტრა ცეტკოვსკას ხვდება. მეორე ნომრად განთესილი რუსის მარინა



ბურაკ დოლინგერის ფოტო

გუშინ ბათუმის კორტებზე ბლაჟი იყო

შამაიკოს სახით არანაკლებ ძლიერი მეტოქე ერგო მანანა შაფაქიძეს. რაც შეეხებათ ეკა გორგოძესა და სოფო შაფათავას, ისინი პირველ წრეში, შესაბამისად, უკრაინელ იანა ლევჩენკოსა და რუს სომეხ ლუდმილა ნიქოიანს შეხვდებიან.

სამწუხაროდ, საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლიეს და ასპარეზობა ნაადრევად დაასრულეს სხვა ქართველებმა — მარიამ ქურდაძემ, სოფიკო შარანგიამ, სალომე ალადაშვილმა, თამარ მილევსკაიამ, ანა ჯიქიამ, მაგდა ოქრუაშვილმა, თეონა ცერცვაძემა და ნინო მებუკემ.

აი, დებიუტი!
ცინცაძე როკში გამაგრდა

გიორგი ცინცაძემ ჭულებისა და პასების გარდა მოხსნებიც მიითვალა

„ცოტა უხერხულად ვარ, აქ ყველა თქვენობით მელაპარაკება. ისე მეპყრობიან, როგორც გუნდის ლიდერს. აქამდე, სადაც მითამაშია, სულ მეორე პლანზე ვიყავი და ახლა ასეთი ყურადღების ცენტრში ყოფნა ცოტა მოულოდნელია“ — გვითხრა გიორგი ცინცაძემ ათიოდ დღის წინ, როცა ესტონური ტარტუს „როკს“ შეუერთდა. ცინცაძეს არაფერი შეშლია, ტარტუელები მას მართლაც რიდით ეპყრობოდნენ და დაიწყო თუ არა სეზონი, აკი ხუთეულშიც დაუჯავშნეს ადგილი.

გიორგისაც თავი არ შეურცხვენია და სამ სათასო მატჩში მთლიანობაში 47 ქულა ჩააგდო. ამ შედეგით ის თავისიანთაგან მხოლოდ გერტ კულამდეს ჩამორჩა.

ერთი სიტყვით, ცინცაძემ ისეთი გუნდი იპოვა, როგორიც უნდოდა. არცთუ სუსტი კლუბია „როკი“, სამ საკმაოდ სოლიდურ ტურნირში მონაწილეობს და, რაც მთავარია, ქართველი გამთამაშებელი ხუთეულშია.

ესტონეთის თასის გათამაშებაში 8 გუნდი მონაწილეობდა. ტარტუელებმა წარმატებით განვლეს გზა ფინალამდე, სადაც ესტონეთის ყველაზე ტიტულიან გუნდს, ტალინის „კალევს“ გადაეყარნენ. ცინცაძემ სამივე სათასო მატჩში ხუთეულში ითამაშა და საუკეთესო შედეგით სწორად ფინალში გამოირჩა, თუმცა მანამდელ მატჩებზეც მოვყვეთ.

მეოთხედფინალში „როკმა“ „ტარვარი“ გაანადგურა — 91:40 და ცინცაძის ოფიციალური დებიუტიც შედგა. ქართველმა ახალგაზრდამ მოედანზე 23 წუთი დაყო და 11 ქულას 5-5 მოხსნა-პასიც მოაყოლა.

ნახევარფინალში ტარტუელებმა კიდევ შეარცხვინეს მეტოქე, „ვალგას“ 101:59 სძლიეს და ფინალის საგზური დაიბევეს. ცინცაძემ ხუთეულში კი დაიწყო, მაგრამ მხოლოდ 20 წუთი ითამაშა. თუმც მან ეს დრო საკმაოდ ყაირათიანად გამოიყენა და 17 ქულა მოაგროვა. თანაც ისე, რომ მთლიანობაში მხოლოდ ორი სროლა ააცილა ათიდან. 5 ცდიდან 4 საქმულიანი, ორიდან კი ერთი ორქულიანი ჩააგდო. საჯარიმოს ხაზიდან ცინცაძე შეუცდომელი იყო: სამიდან სამი.

აი, ფინალში კი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ცინცაძემ, მაგრამ მისმა გუნდმა, სამწუხაროდ, წააგო. ქართველმა, ცხადია, ხუთეულში დაიწყო თამაში და მოედანზე 32 წუთი გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ცინცაძემ პირველ ტაიმში სამივე ორქულიანი გააცუდა, ტარტუელთა დამრიგებელი მას მაინც ენდო და ქართველმაც გაამართლა. გიორგიმ მეორე ტაიმში მიზანი გაისწორა და ორიანებთან ერთად 4 სამქულიანიც ჩააგდო 7 ცდიდან.

საბოლოოდ ჩვენიანის ანგარიშზე 19 ქულა დაგროვდა, თუმც ამაზე არანაკლები შედეგი მის მიერ ჩამორიგებული 7 პასია. ამ მაჩვენებელში მას მოედანზე ბადალი არ ჰყავდა, ხოლო ბომბარდირობაში მხოლოდ ერთმა, ისიც თანაგუნდელმა გერტ კულამდემ აჯობა, რომელმაც 27 ქულა მოიპოვა.

როგორც ხედავთ, ცინცაძემ ჩინებული დებიუტი მოიწყო „როკში“ და ესტონეთის ჩემპიონატს, რომელიც სულ მალე დაიწყება, დიდი იმედებით ხვდება.

ირაკლი პერტაია

ასი უასოდ მიდის

სამი ეტაპიც და „სამეფო რბოლების“ თითქმის 60-წლიანი ისტორიის ყველაზე წარმატებული კარიერა დასრულდება.

დიადმა გერმანელმა მიხაელ შუმახერმა უკლებლივ ყველა უმთავრეს საპირველფორმულო ჩიღწევას თავისი გვარ-სახელი წააწერა და თანაც ისე აამაღლა რეკორდების ჭერი, რომ ახლოს მიმკარებელიც არავინ ჩანს და ეს ყოველივე იქნებ სამუდამოდაც შეუვალად დარჩეს.

ორი კვირის წინ იტალიის დიდი პრიზის მეხუთედ მოგებით, სუპერმიხაელმა მორიგი ზეზღუდე დაძლია — მისი 90-ე საკარიერო გამარჯვება სხვა ჰილოტთა შედეგების ფონზე დაუჯერებელი ჩანს.

როცა 13 წლის წინათ ლეგენდარულმა ფრანგმა „პროფესორმა“ ალენ პროსტმა 51-ე დიდი პრიზი მოიპოვა, იმ დროს ეს დაუძლეველ ზღვარს ჰგავდა, რადგან თავად „პროფესორმა“ და ბრიტანელმა ნაიჯელ მენსელმა ჯირითი დაასრულეს, ხოლო უახლოესი კონკურენტი, ბრაზილიელი „ჯადოქარი“ აირტონ სენა სამი რბოლის შემდეგ დაილუპა. ორი სეზონის წინ „გამოჩეკილ“ მიხაელ შუმახერს კი აქტივში ორადორი გრან პრი ჰქონდა.

მაგრამ ყველასთვის ცნობილია, მოვლენები შემდგომში როგორ და ვის სასარგებლოდ განვითარდა — პოსტპროსტულ 11 წელიწადში შუმიმ შვიდჯერ დაიდგა გვირგვინი და დიდპრიზების არნახული მოსავალიც მოიმკო.

კერპენელ „მზეჭაბუკს“ 21 დასახელების ეტაპი აქვს მოგებული, ხოლო საფრანგეთში მისი რვა გამარჯვება აბსოლუტური საფორმულო რეკორდია, რადგან ერთი ქვეყნის ამდენი დიდი პრიზი სხვას არავის მოუგია:

8 ---------- საფრანგეთი
7 ---------- კანადა, სან მარინო
6 ---------- ბელგია, ესპანეთი, იაპონია, ევროპა
5 -------- მონაკო, იტალია, აშშ
4 ----- ბრაზილია, ავსტრალია, უნგრეთი, გერმანია
3 დიდი ბრიტანეთი, მალაიზია
2 ---- ავსტრია, წყნარი ოკეანე
1 ---------- პორტუგალია, არგენტინა, ბაჰრეინი

რა თქმა უნდა, საწყენია, რომ 37 წლის „წითელი ბარონი“ სარბოლო სარბიელს ტოვებს, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს დასასრული. ახლა მთავარია, წასვლაც მიხაელის ფანტასტიკური კარიერის შესატყვისი გამოდგეს — წინ კიდევ სამი დიდი პრიზია და მერვე გვირგვინის რეალური შანსი. ისე, მიხაელი ერთ-ორისეზონი კიდევ რომ დარჩენილიყო, ალაბათ 100 დიდ პრიზამდეც ავიდოდა. სამწუხაროდ, მან ასე არ ინდომა.

გია ახალაძე

ყველაზე მეტმოგებიანები

	მრბოლი	ქვეყანა	მოგება	რბოლა	%
1	მიხაელ შუმახერი	გერმანია	90	245	36,7
2	ალენ პროსტი	საფრანგეთი	51	199	25,6
3	აირტონ სენა	ბრაზილია	41	161	25,5
4	ნაიჯელ მენსელი	დიდი ბრიტანეთი	31	187	16,6
5	ჯეკი სტიუარტი	დიდი ბრიტანეთი	27	99	27,3
6	ჯიმ კლარკი	დიდი ბრიტანეთი	25	72	34,7
7	ნიკი ლაუდა	ავსტრია	25	171	14,7
8	ხუან მანუელ ფანხიო	არგენტინა	24	51	47,0
9	ნელსონ პიკე	ბრაზილია	23	204	11,3
10	დეიმონ ჰილი	დიდი ბრიტანეთი	22	115	19,1
11	მიკა ჰაკინენი	ფინეთი	20	162	12,3
12	სტირლინგ მოსი	დიდი ბრიტანეთი	16	66	24,2
13	ფერნანდო ალონსო	ესპანეთი	14	84	16,7
14	ჯეკ ბრებემი	ავსტრალია	14	126	11,1
15	ემერსონ ფიტიპალდი	ბრაზილია	14	144	9,7
16	გრემ ჰილი	დიდი ბრიტანეთი	14	176	8,0
17	ალბერტო ასკარი	იტალია	13	32	40,6
18	დევიდ კულჰარდი	დიდი ბრიტანეთი	13	208	6,2
19	მარიო ანდრეტი	აშშ	12	128	9,4
20	ალან ჯოუნსი	ავსტრალია	12	116	10,4
21	კარლოს რუტმანი	არგენტინა	12	146	8,2
22	ჟაკ ვილნევი	კანადა	11	164	6,7
23	ჯეიმს ჰანტი	დიდი ბრიტანეთი	10	92	10,9
24	ჯოდი შექტერი	სამხრეთ აფრიკა	10	112	9,0
25	რონი პეტერსონი	შვედეთი	10	123	8,2
26	გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	10	210	5,0
27	კიმი რაიკონენი	ფინეთი	9	100	9,0
28	რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	9	229	3,9

ალზეევება დაფასდა
მწვრთნელებიც დარჩნენ და ასისტენტებიც

გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გამგეობის სხდომა გაიმართა, რომლის წევრებმაც საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლასთან დაკავშირებით ანგარიში ჩაიბარეს.

ახალგაზრდულმა და კადეტთა ნაკრებებმა B-დან A დივიზიონში აინაცვლეს და მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ. ამ ნაკრებთა მწვრთნელებს კონტრაქტი განვლილ ციკლზე ჰქონდათ გაფორმებული, გუშინდელ სხდომაზე კი გამგეობის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ ეს სპეციალისტები პოსტებზე დარჩნენ.

მაშ ასე: ახალგაზრდულ ნაკრებს კვლავ დავით უსტიაშვილი და მისი ასისტენტი გელა წულაძე გაუძღვებიან, ხოლო კადეტებს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი და მიხეილ კობეშავიძე დამოძღვრავენ.

ეს ინფორმაცია კალათბურთის ფედერაციის პრესცენტრიდან გვაცნობეს და ისიც დაამატეს, რომ ოთხ ქართველ სპეციალისტს — ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს, მიხეილ კობეშავიძეს, ზურაბ ტომარაძესა და მერაბ მეგრელაძეს — სპორტის დეპარტამენტში წარდინება გაუკეთდებათ, რათა მათ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭოთ.

ბურაგ დოლენჯაშვილის ფოტო

ახალგაზრდულ ნაკრებს კვლავ გელა წულაძე
და დავით უსტიაშვილი უხელმძღვანელებენ

დაბოლოს, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მთავარ მსაჯად მურმან ქურიძის ნაცვლად როლანდ ხომერიკი დაინიშნა.

ირაკლი პერტაია

AFP



ლიუ სიანმა ალან ჯონსონი ზურგსუკან მოიტოვა

სულსწრაფი ასაფა

სამძლეოსნო სეზონი ფაქტობრივად დასრულდა. ელიტარულმა ათლეტებმა ყველა დიდი შეჯიბრი უკვე მოითავეს, თუმცაღა პატარ-პატარა ტურნირები აქა-იქ კიდევ იმართება და მათზე გამოსვლას არც ნახსენები ელიტარული ხალხი თაკილობს.

თუნდაც გასულ კვირას აზიაში, კერძოდ კი იაპონურ იოკაჰამასა და ჩინურ შანხაიში გამართული ასპარეზობები ავიღოთ, რომლებშიც ბევრმა სახელიანმა მძლეოსანმა მიიღო მონაწილეობა.

შანხაითი დავიწყოთ და იქ ყურადღების ცენტრში, რაღა თქმა უნდა, მასპინძლების ვარსკვლავი, 110 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ლიუ სიანი იყო. თანაც ჩინელ ჩემპიონს მეტოქეც დიდი, შეიძლები ითქვას ლეგენდარული კაცი ჰყავდა ვეტერანი ამერიკელის, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ალენ ჯონსონის სახით.

თარჯებით მოფენილ 110 მეტრზე გარბენი მართლაც გვარიანი გამოვიდა და ჩინელმა ამერიკელს სულ მცირედით, ორი მეასედი წამით აჯობა. მართალია, ლიუს მიერ ნაჩვენები დრო — 13,07 წამი მისსავე წლევანდელ მსოფლიო რეკორდს თითქმის ორი მეათედით ჩამორჩება, მაგრამ გამარჯვებული მაინც ძალიან ბედნიერი იყო — სეზონის ბოლოს უკეთესი შედეგის ჩვენება ძნელია, თანაც შენი ქომაგების თვალწინ პირველობას სხვა ეშხი აქვსო.

ქალები თარჯებიან გზაზე არა 110, არამედ 100 მეტრს გარბიან და წელს ამ სახეობაში ბადალი არ ჰყავს ამერიკელ მიშელ პერის, ვინც შანხაიშიც იპირველა, 12,60 წამი აჩვენა და ოთხი მეასედით აჯობა თანამემამულე ჩერის.

რაც შეეხება გრძელ, ანუ 400 მეტრიან თარჯრბენს, აქ ყველას რუსმა დედალმა ქურციკმა ევგენია ისაკოვამ მიასწრო ფინიშთან, თანაც სეზონის მიწურულისთვის მშვენიერი დრო — 53,98 წამი აჩვენა.

მოულოდნელი იყო კაცთა სიმაღლეზე ხტომის ახალი ლიდერის, რუსი ევროპის ჩემპიონის ანდრეი სილნოვის მარცხი. გიოტებორგული ევროპირველობის ერთ-ერთი გმირი ოდენ 2,27 მეტრ სიმაღლეს გადაახტა და მეოთხე ადგილს დასჯერდა, თუმცაღა გამარჯვება მაინც რუსს, 2,33 მეტრზე გადამხტომ რიბაკოვს დარჩა.

იოკაჰამაში კი ის მოხდა, რაც კარგა ხანია აღარ მომხდარა — კაცთა 100 მეტრზე სირბილი ვერ მოიგო უძლეველმა იამაიკელმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა ასაფა პაუელმა. თუმცაღა, ასაფა სარბენ ბილიკზე როდი დამარცხდა — ფალსტარტის გამო იქნა დისკვალიფიცირებული და საერთოდ ვეღარ ირბინა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ პირველი ფალსტარტი ევროპის ვიცეჩემპიონის, რუსი ანდრეი ეპიშინის ანგარიშზე იყო, ხოლო განმეორებითი სტარტისას, უკვე პაუელს წასძლია სულმა, იჩქარა და ააფ-ის წესებით კი პირველი არა და, სწორედ შემდგომი ფალსტარტების ავტორებს აჯარიმებენ.

საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ პაუელის არყოფნაში 100 მეტრზე სირბილმა ინტერესი დაკარგა და გამარჯვება იამაიკელისთვის სასაცილო 10,12 წამით მავანმა იაპონელმა სეუცუგუმ მოიპოვა.

აი, ქალთა სპრინტში კი მსგავსი არაფერი მომხდარა და სეზონის ლიდერმა, პაუელის თანამემამულე შერონ სიმპსონმა კვლავ დაამტკიცა თავისი სიძლიერე — საკმაოდ ძლიერ პირქარში 11,15 წამში გაირბინა კუთვნილი 100 მეტრი.

კვლავ შეუდარებელი იყო რუსი ელენა ისინბაევა, თუმცაღა ჭოკოსან ქალთა ჩემპიონთჩემპიონი ამჯერად მისთვის საკმაოდ საშუალო, 4,72 მეტრი სიმაღლით დაკმაყოფილდა.

გია მუჯირი



ელენა ისინბაევა

AFP

პრო-ტურიდ ვალვერდესა

ველოსიპედისტებმა ავსტრიულ ზალცბურგში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩაირბოლეს და ამით 2006 წლის სეზონი ფაქტობრივად დასრულდა. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, სეზონის ბოლომდე პროიტურის ეგიდით გასამართი სამი ერთდღიანი კლასიკური რბოლაღა დარჩა — 1 ოქტომბერს შვეიცარიაში „ციურიხის ჩემპიონატად“ წოდებული რბოლა გაიმართრება, ერთი კვირის შემდეგ საფრანგეთში „პარიზი-ტურია“ და სეზონი კი ტრადიციულად იტალიაში „ჯირო ლომბარდიათი“ დაიხურება 14 ოქტომბერს.

სწორედ ლომბარდიული რბოლის შემდეგ შეგვეძლება 2006 წლის სეზონის შედეგების შეფასება, თუმცაღა დიდი ალბათობით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პრო-ტურის კლასიფიკაციის სათავეში ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე იქნება.

უნიჭიერესმა ბასკმა სეზონის სტარტზე რამდენიმე კლასიკური რბოლა მოიგო, რეიტინგს სათავეში ჩაუდგა და მას შემდეგ პირველობა აღარც დაუთმია, მიუხედავად იმისა, რომ „ტურ დე ფრანსზე“ ერთ-ერთ საწყის ეტაპზე დაშავდა და რბოლა ვეღარ გააგრძელა და ბოლო ხანებშიც ორი მტკივნეული მარცხი იგემა — მშობლიურ „ვუელტაზე“ კარგა ხანს ლიდერობდა, თუმცა ბოლოს ალექსანდრ ვინოკუროვის შეტევებს ვეღარ გაუძლო და მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე, 265 კილომეტრიან ჯგუფურ რბოლაში პირველობისთვის შემართული ბოლო მეტრებზე პაოლო ბეტინისა და ერიკ ცაბელს ჩამორჩა და 2003 წლისა და შარშანდელი ვერცხლის მედლების შემდეგ ამჯერად ბრინჯაოს დასჯერდა.



ვალვერდე ჯერ 26 წლის არის. ეს კი ის ასაკია, საიდანაც დიდი ველოსპორტის კარი იხსნება და „ილეს ბალეარსის“ ლიდერი მომავალში, ალბათ მსოფლიოს ჩემპიონიც გახდება და დიდ ველოტურებსაც არაერთგზის მოიგებს. წელს კი ის პრო-ტურის რეიტინგის ლიდერია, უახლოეს მდევარს მთელი 123 ქულით უსწრებს და სასწაული უნდა მოხდეს, სეზონი პირველ ადგილზე მყოფმა ვერ დაასრულოს.

პრო-ტურის რეიტინგი

1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ბალეარსი) ---------- 285
2. კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო) ---------- 162
3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) ---------- 156
4. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე) ---------- 155
5. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვივ სტეპი) ---------- 154
6. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) ---------- 150
7. ივან ბასო (იტალია, CSC) ---------- 138
8. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) ---------- 133
9. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელი) ---------- 133
10. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) ---------- 121
11. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) ---------- 118
12. ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, დიქოვერი) ---------- 117
13. ლევი ლეიფემერი (აშშ, გეროლშტაინერი) ---------- 144
14. კარლოს სასტრე (ესპანეი, CSC) ---------- 114
15. იორგ იაკშე (გერმანია, ასტანა) ---------- 110
16. ფილიპო როზატო (იტალია, ქვიკ სტეპი) ---------- 106
17. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) ---------- 106
18. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) ---------- 104
19. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) ---------- 99
20. ხოსე ანხელ გომესი (ესპანეთი, სონი დიუვალი) ---------- 97

გუნდები: 1. CSC (დანია) 333; 2. ილეს ბალეარსი (ესპანეთი) 325; 3. რაბობანკი (ჰოლანდია) 308; 4. დისქოვერი (აშშ) 295; 5. ლამპრე (იტალია) 280; 6. ფონაკი (შვეიცარია) 270; 7. T-მობაილი (გერმანია) 263; 8. ასტანა (ყაზახეთი) 252; 9. სონი დიუვალი (ესპანეთი) 252; 10. გეროლშტაინერი (გერმანია) 239.

ბინდადან ბეტინიმდე

ორიოდე დღის წინათ ზალცბურგში დასრულებული ველოსიპედისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი ისტორიაში 72-ე იყო. პირველი პირველობა თითქმის 80 წლის წინათ, 1927 წელს გაიმართა გერმანულ ნიურნბერგში და 182,5 კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა ლეგენდარულმა იტალიელმა ალფრედო ბინდამ მოიგო.

კარგა ხნის მანძილზე ჩემპიონატის პროგრამაში მხოლოდ ჯგუფური რბოლა იყო, 1994 წლიდან კი მას ინდივიდუალური რბოლაც დაემატა და ამ სახეობაში პირველი ჩემპიონი ბრიტანელი კრის ბორდმენი გახდა.

ალფრედო ბინდა, გარდა იმისა, რომ პირველი ჩემპიონია, პირველი სამგზის ტრიუმფატორიც გახლავთ — 1927 წლის შემდეგ მან 1930 და 1932 წლებშიც მოიპოვა ჩემპიონობა. აგერ, ამდენი ხანი გავიდა და დიდი იტალიელის ეს მიღწევა ვერავინ გაუმჯობესა, გამეორებით კი ორმა გაიმეორა — ყველა დროის, ალბათ, უდიდესმა მრბოლმა, ბელგიელმა ედი მერქსმა, ვინც 1967, 1971, 1974 წლებში მოიპოვა ჩემპიონობა და 1999, 2001, 2004 წლების ტრიუმფატორმა, ესპანელმა ოსკარ ფრეირემ, ვისაც ჯერ კიდევ აქვს შანსი, თვით მერქსსა და ბინდას აჯობოს და მეოთხედაც მოიპოვოს ჩემპიონობა.

AFP

პაოლო ბეტინი ჩემპიონობას ზეიმობს

ამ სამეულის უკან ის ექვსი მრბოლი მოდის, ორ-ორჯერ რომ უჩემპიონიათ. ამათგან ოთხი ბელგიელია — გეორგ რონსს 1928-29 წლებში არ ჰყავდა ბადალი, ბრიკ შოტს — 1948, 1950 წლებში, რაიმონ სტინბერგენმა 1956-57 წლებში იპირველა, ხოლო რიკ ვან ლოიმ — 1960-61 წლებში. ბელგიელების შემდეგ 1983 და 1989 წლებში ამერიკელი გრეგ ლემონდი იყო საუკეთესო, ხოლო 1991-92 წლებში პირველობა იტალიელმა ჯანი ბუნიომ მოიპოვა.

თავისი სამგზის ჩემპიონი ინდივიდუალურ რბოლასაც ჰყავს. ეს ავსტრალიელი მაიკლ როჯერსია, ვისაც 2003-05 წლებში არ ჰყავდა ბადალი. გერმანელი იან ულრიხი ორგზის ტრიუმფატორია. ის 1999 და 2001 წლებში იყო საუკეთესო.

ქვეყნების მიხედვით თუ ავიღებთ, ჯგუფურ რბოლაში ყველაზე მეტი — 25 ტიტული ბელგიელთა ანგარიშზეა. მეორე ადგილზე იტალიელები არიან. ზალცბურგში პაოლო ბეტინის მიერ მოპოვებული გამარჯვება აპენინელთათვის მე-17 იყო. შემდეგ მოდიან საფრანგეთი 8 გამარჯვებით, ჰოლანდია (7) და ესპანეთი (5).

ინდივიდუალურ რბოლაში როჯერსის წყალობით წინ სამტიტულიანი ავსტრალიელები არიან, ხოლო ესპანელთა და გერმანელთა ანგარიშზე 2-2 ჩემპიონობაა.

გია მუჯირი

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. II ტური

E ჯგუფი

სტიაუა 0:3 ლიონი

0:1 ფრედი (43), 0:2 ტიაგუ (55), 0:3 ბენზემა (90)

სტიაუა: კ. ფერნანდეში, მარინი, გოიანი, გიონია, ნესუ, ნიკოლიტა, ლოვინი (ტერეაუ 76), პარასკივი (პეტრე 58), ბოსტინა (ოპრიტა 55), დიკა, ბადია

მწვრთნელი: კოზმინ ოლაროიუ

ლიონი: კუპე, კლერკი, კრისი, მიულერი, აბიდალი (რეველიერი 76), ტიაგუ (კალსტროიმი 82), ტულალანი, ჟუნინიო, ვილტორდე, მალუდა, ფრედი (ბენზემა 85)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ოპრიტა, ნიკოლიტა, ტულალანი, პეტრე

მსაჯი: ჰოვარდ ვები (ინგლისი)

25 000 მაყურებელი

რეალი 5:1 დინამო

1:0 ვან ნისტელროი (20), 2:0 რაული (27), 3:0 რეიესი (45), 3:1 მილევსკი (47), 4:1 რაული (61), 5:1 ვან ნისტელროი (70პ)

რეალი: კასილიასი, მეხია, კანავარო, სერხიო რამოსი, რობერტო კარლოსი, რეიესი (ბექემი 46), ემერსონი, დიარა, გუტი, რაული (რობინიო 84), ვან ნისტელროი (რონალდო 72)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

დინამო: შოვკოვსკი, ო. გუსევი, საბლიჩი, გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, რინკონი (ალიევი 81), კორეა (მიხალიკი 74), იუსუფი, ბელკევიჩი (რიბკა 70), მილევსკი, შაცკიხი

მწვრთნელი: ანატოლი დემიანენკო

გაფრთხილება: შაცკიხი, სერხიო რამოსი

გაძევება: შოვკოვსკი (68)

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

65 000 მაყურებელი

ლიონი	2	2	0	0	5:0	6
რეალი	2	1	0	1	5:3	3
სტიაუა	2	1	0	1	4:4	3
დინამო	2	0	0	2	2:9	0

F ჯგუფი

ბენფიკა 0:1 მანჩესტერი

0:1 საა (60)

ბენფიკა: კიმი, ალსიდესი, ლუიზაო, ანდერსონი (მანტორაში 82), ლეო, პეტიტი, კარაგუნისი (ნუნუ ასისი 63), კაცურანისი, პაულუ ჟორჟე (მიკოლი 65), სიმაო, ნუნუ გომეში

მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ჰაინცე, რონალდუ, კარიკი, სქოულზი, ოში, რუნი (ფლეტჩერი 85), საა (სმიტი 85)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: კარიკი, სქოულზი, კაცურანისი, ჰაინცე, პეტიტი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

55 000 მაყურებელი

სელტიკი 1:0 კოპენჰაგენი

1:0 მილერი (36პ)

სელტიკი: ბორუცი, ტელფერი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ლენონი, გრავესენი, მაკგიდი (პირსონი 88), ჟურავსკი (ბიტი 73), მილერი (მელოუნი 82)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, იაკობსენი, ჰანგელანდი, გრავგაარდი, ბერგდოლმო (თომასენი 75), სილბერბაუერი, ლინდეროტი, ნორეგაარდი, ჰათჩინსონი, ბერგლუნდი (კვისტი 56), ოლბოკი

მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი

მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)

57 598 მაყურებელი

მანჩესტერი	2	2	0	0	4:2	6
სელტიკი	2	1	0	1	3:3	3
ბენფიკა	2	0	1	1	0:1	1
კოპენჰაგენი	2	0	1	1	0:1	1

G ჯგუფი

არსენალი 2:0 პორტუ

1:0 ანრი (38), 2:0 გლები (48)

არსენალი: ლემანი, ებუ, ტურე, გალასი (ა. სონგი 90), ჰოიტი, გლები (უოლკოტი 86), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, როსიცკი, ანრი, ვან პერსი (ლიუნგბერგი 74)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

პორტუ: ელტონი, ბოსინგვა, პეპე, ბრუნო ალვეში, მ. ჩეხი, ლუჩო გონსალესი, პ. ასუნსაო, რიკარდუ კოშტა (მეირელეში 46), ანდერსონი (ადრიანუ 66), პოშტიგა (ლ. ლოპესი 46), კვარესმა

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

გაფრთხილება: რიკარდუ კოშტა, როსიცკი, ჟილბერტო სილვა

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

59 861 მაყურებელი

ცსკა 1:0 ჰამბურგი

1:0 დუდუ (59)

ცსკა: აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, დუდუ, შემბერასი (კრასიჩი 46), დანი კარვალიუ (ჟო 85), რახიმიჩი, ჟირკოვი, ვაგნერ ლავი, ოლიჩი (ალდონინი 76)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

ჰამბურგი: ვესტერი, მაპდავიკია, რაინჰარდტი, კომპანი, მატიისენი, იაროლიმი, ვიკი, ნ. დე იონგი (ტროხოვსკი 70), სორინი (გერერო 69), ლიუბოია (ლაუტი 80), სანოგო

მწვრთნელი: თომას დოლი

გაფრთხილება: სორინი, მატიისენი, ვაგნერ ლავი, იაროლიმი

გაძევება: ლაუტი (85)

მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

28 000 მაყურებელი

არსენალი	2	2	0	0	4:1	6
ცსკა	2	1	1	0	1:0	4
პორტუ	2	0	1	1	0:2	1
ჰამბურგი	2	0	0	2	1:3	0

D ჯგუფი

ლილი 0:0 მილანი

ლილი: ტ. სილვა, შალმე, პლესტანი, ტავლარიდისი (შმიტცი 85), ვიტაკიჩი, კეიტა, ბოდმერი, მაკუნი, ტაფორო, ფოვერეი (კაბაიე 62), ოდეგვინეი

მწვრთნელი: კლოდ პუელი

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, ზეედორფი, ჯილარდინო (ინძაგი 76)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: იანკულოვსკი, კაბაიე

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

40 000 მაყურებელი

აეკ 1:1 ანდერლეხტი

0:1 ფრუტოსი (25), 1:1 ჟულიო სეზარი (28)

აეკ: სორენტინო, გეორგიასი, მორასი, ჩირილო, უდეზე, ლაგოსი, კირიაკიდისი, ტოშერი, ჟულიო სეზარი (ლაკისი 55), პეტემაი (დელიბაშიჩი 70), კაპეტანოსი (ლიბეროპულოსი 46)

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

ანდერლეხტი: ჟიტკა, ვანდენ ბორე, პარეხა, დეშახტი, ვან დამი, ბილია, ლეივა, ბუსუფა (ლეჟარი 81), გოორი, ფრუტოსი, ტშიტე

მწვრთნელი: ფრენკი ვერკუტერენი

გაფრთხილება: ჟულიო სეზარი, ვანდენ ბორე, ჩირილო, გოორი, ტშიტე

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

35 618 მაყურებელი

მილანი	2	1	1	0	3:0	4
ანდერლეხტი	2	0	2	0	2:2	2
ლილი	2	0	2	0	1:1	2
აეკ	2	0	1	1	1:4	1

კოტლეტი პო კიევსკი პო მადრიდსკი

„რეალი“ იგებს თუ აგებს, კაპელო მაინც თავის ამპლუაშია

ალექსანდრ შოვკოვსკი რუუდ ვან ნისტელროის შეეწირა

ლისაბონში რევანში შედგა. გეხსომებათ, შარშან „ბენფიკამ“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჯგუფში ჩატოვა, წლეულს კი ინგლისელებმა ჯავრი იყარეს. მართალია, წუხელ „ეშტადიუ და ლუჟზე“ საქმე ჯგუფიდან გასვლაზე არ იყო, მაგრამ პრესტიჟი პრესტიჟია და, ფერგიუსონის გუნდმა ლუი საას გოლით 1:0 იმარჯვა.

F ჯგუფის მეორე მატჩში „სელტიკმა“ შინ დანიურ „კოპენჰაგენს“ სძლია. სკანდინავიელებს ევროთასებზე ბოლო 9 თამაში არ წაეგოთ, გუშინ კი კენი მილერის გოლით ამოყირავდნენ.

მადრიდის „რეალმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩასულ კიევის „დინამოს“ ჯოჯოხეთი მოუწყო. „ლიონთან“ პირველ ტურში შერცხვენილ ესპანელებს ამჯერად უცილობელი გამარჯვება სჭირდებოდათ და მოიგეს კიდეც. ლუის არაგონესისგან ესპანეთის ნაკრებიდან დათხოვნილმა რაულმა ორი გაიტანა, ორიც ვან ნისტელროიმ შეაგდო, ერთიც რეიესმა.

„ლიონი“ კვლავაც ვაჟკაცობს — ფრანგებმა სტუმრად „სტიაუა“ 3:0 შეჭამეს და E ჯგუფსაც ისინი ლიდერობენ. ჟერარ ულიეს ბიჭებმა თუ ასე გაგრძელეს, ვინძლო, ლიგის ფავორიტებიც ატირონ.

G ჯგუფში „არსენალმა“ „პორტუს“ აუგო ანდერძი. ტიერი ანრიმ, რაც უნდოდა, ის აკეთა და ლამაზი გოლიც გაიტანა.

გუშინდლამდე მოსკოვის ცეესკას ბოლო ექვსი საშინაო ევრომატჩიდან ოდენ ერთი მოეგო, გუშინ კი არმიელებმა „ჰამბურგი“ ბრაზილიელი დუდუს გოლით დაამარცხეს.

H ჯგუფი ფრეებისა იყო. ფრანგული „ლილი“ ვერც კახა კალაძის „მილანმა“ დაამარცხა და ვერც ბერძნულ აეკ-ს დაეხმარა შინაური გულფიცხობით განთქმული ელინი ქომაგობა. „ანდერლეხტთან“ თამაშის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა, სტუმარმა ფრუტოსმა და ბერძენთა ბრაზილიელმა ჟულიო სეზარმა სამ წუთში გოლები გაცვალეს.

ლადო ხომერიკი



ორი ჩუბინი „მეთოფე“: ალექსანდრ გლები და ტიერი ანრი

ინგლისი

I ლიგა. XI ტური	II ლიგა. XI ტური
ბორნმუთი 0:1 ბრისტოლი	ბერი 2:2 აპრინგტონი
კარლაილი 2:0 ბლეკპული	ბრიმსბი 1:4 ჰარტლპული
ჩელტენჰემი 0:2 ნორთჰემპტონი	მაკლსფილდი 1:1 ჩესტერი
დონკასტერი 3:3 ბრედფორდი	მენსფილდი 1:0 დარლინგტონი
ლეიტონი 3:3 ჯილინგჰემი	დონსი 3:2 ტორკი
მილუოლი 1:1 ბრენტფორდი	ნოტსი 1:0 სტოკპორტი
ოლდჰემი 2:1 როტერჰემი	პიტერბრო 1:1 ბარნეტი
პორტ ვეილი 1:1 ნოტინგჰემი	შრიუსბერი 1:1 უოლსოლი
სუონსი 2:1 ძრიუ	უიკომბი 1:1 სუინდონი
ტრანმერი 2:2 ჰადერსფილდი	**კონფერენსლიგა. XI ტური**
იოვილი 2:0 ბრაიტონი	სოთპორტი 1:2 ნორსვიჩი

შვედეთი

ალსვენსკა. XX ტური

ელფსბორგი 2:0 იორგრიტე

იოსტერსი 0:3 ჰელსინგბორგი

აიკ 0:2 ჰამარბი

ამხანაგური მატჩი

ინდონეზია — ფინეთი *გადაიდო*

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00